

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

XIX

**თურქეთ-სპარსეთის ომი და  
ქრისტიანი ქართველები  
1577—1581**

იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და  
საძიებლები დაურთო  
ელ დარ მამისთვალიშვილმა

შრომა წარმოადგენს XVI საუკუნის მეორე ნახევრის ანონიმა ვენეციელი ავტორის რელაციის თარგმანს. მას დიდი მნიშვნელობა აქვს 1578—1590 წლების ირან-ოსმალეთის ომის პირველი პერიოდის ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს (ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო) ისტორიის მთელი რიგი მომენტების შესასწავლად.

წიგნი სარგებლობას მოუტანს ფეოდალური ხანის ისტორიის მკვლევრებს და, საერთოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

Книга является переводом реляции анонимного венецианского автора второй половины XVI века. В ней содержатся неизвестные, до сих пор ценные сведения по истории народов Закавказья и особенно Восточной Грузии (Картли, Кახети, Самцхе-Саатабаго), охватывающий первый период (1578—1581 гг.) ирано-турецкой войны (1578—1590 гг.). Автор реляции показывает взаимоотношение восточно-грузинского царства и княжества с Ираном и Турцией.

Книга предназначена для историков, исследующих историю феодальной эпохи, а также читателей, интересующихся историей Грузии.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: მ. ს ვ ა ნ ი ძ ი  
ა. ტ ა ბ ა ტ ა ძ ი

## მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე,  
ზ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ვ. ნაღ-  
რეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია,  
გ. ჯიბლაძე

სერიის რედაქტორი თ. ყაუხჩიშვილი  
ტომის რედაქტორი ზ. სტურუა

## ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Ш. В. Дзидзигури (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н.  
Алексидзе, Г. Н. Джибладзе, В. И. Дзидзигури, Т. С. Каух-  
чишвили, Р. К. Кикнадзе (зам. гл. редактора), Г. А. Мелики-  
швили, Г. Н. Надарейшвили, Э. В. Хоштария

Редактор серии Т. С. Каухчишвили  
Редактор тома З. Стурúa

საქართველოს ისტორიის წყაროების  
კომისიის გამოცემები

1. შპ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. ა ბ რ ა ა მ ე რ ე ვ ა ნ ც ი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებელი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1976.
5. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.
11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1979.

14. მუსტაფა იანიშაძე, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გავრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი და-

ადგინა. შესავალი. ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა, თბ., 1981.

27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, XII—XIII საუკუნეების მიწის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.

32. ოსმალური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.

33. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, ტექსტი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ო. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзенишвили, Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.

42. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, II, შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაეშია, თბ., 1986.

43. Дж у а н ш е р Дж у а н ш е р и а н и. Жизнь Вахтанга Горгасали. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1986.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	11
თურქეთის იმპერატორ სულთან მურადსა და სპარსეთის მეფე სულთან ჰეიდარ-მირზას შორის მიმდინარე ომი და ქრისტიანი ქართველები . . . . .	16
შენიშვნები . . . . .	43
უცხო სიტყვათა განმარტებანი . . . . .	57
Резюме	60
Resumé	62
საძიებლები	65



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

XVI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში ევროპისა და აღმოსავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკური მესვეურების ყურადღება მიიპყრო ახლო აღმოსავლეთის ორი დიდი აგრესიული სახელმწიფოს — ირანისა და ოსმალეთის ომმა, რომლის ასპარეზს ამიერკავკასია წარმოადგენდა.

ევროპის სახელმწიფოები (საფრანგეთის გარდა) დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთის ალაგმევით, რადგან იგი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკური კავშირის განხორციელების გზაზე მთავარ დაბრკოლებად გადაიქცა. ამას გარდა, ოსმალეთი საფრთხეს უქმნიდა აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, რის გამოც ეს სახელმწიფოები მოკავშირეებად თვლიდნენ ერთმანეთს. ამ მხრივ, დასავლეთის პოლიტიკოსების ყურადღებას განსაკუთრებით ყიზილბაშური ირანი იქცევდა, რადგან იგი ოსმალეთის ყველაზე სერიოზული მეტოქე იყო აღმოსავლეთში. ასე რომ, ევროპის სახელმწიფოები ირანის მბრძანებლებს ხშირად სთავაზობდნენ სამხედრო კავშირის შეკვრას ოსმალეთის წინააღმდეგ. პერიოდულად მიმდინარე ირან-ოსმალეთის ომები საშუალებას არ აძლევდა ოსმალეთის იმპერიას განუწყვეტელი შეტევა ეწარმოებინა დასავლეთის წინააღმდეგ.

დროდადრო, როცა ევროპაში ანტიოსმალური კავშირის შეკვრის ოდენა გავლევდებოდა და პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგმებოდა ხოლმე, ევროპელი პოლიტიკური მოღვაწენი დიდ იმედებს ამყარებდნენ ქრისტიანულ საქართველოზე, როგორც ანტიოსმალურ ძალაზე.

ევროპის პოლიტიკური მოღვაწენი გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს ახლო აღმოსავლეთის ამბებს. მათ აინტერესებდათ, რომელი ძალები მოქმედებდნენ ოსმალეთთან ერთად, ან მის წინააღმდეგ, როგორი იყო ირანის, ოსმალეთის მთავარი მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი. ამიტომ იყო, რომ ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ამსახველ წყაროებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებს, რომლებსაც ევროპელებისათვის უნდა გაეცნო საქართველო, როგორც ოსმალეთის დაუძინებელი მტერი და მძლავრი მოწინააღმდეგე. ოფიციალურ თუ კერძო წერილებში,

მოხსენებებსა და იმდროინდელ პრესაში ქართველთა სამხედრო საქმიანობის წარმოჩენას პროპაგანდისტული მიზანიც ჰქონდა. როგორც იბრძოდა ქრისტიანული საქართველო ირანთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ მაშინ, როცა ევროპის დიდი ქრისტიანული სახელმწიფოები ვერ ახორციელებდნენ ერთობლივ ბრძოლას იმავე ოსმალეთის წინააღმდეგ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთში ელჩების გაგზავნა განსაკუთრებით მაშინ გახშირდებოდა, როცა ოსმალეთის იმპერია ევროპას შეუტევედა. ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიური მისიები მიზნად ისახავდა აემოქმედებინა ოსმალეთის მოწინააღმდეგე აღმოსავლეთის ძალები, რათა შესუსტებულიყო ან საერთოდ შეწყვეტილიყო ოსმალეთის აგრესია დასავლეთში.

ასევე შაჰიც მაშინ უკავშირდებოდა ევროპას, როცა ოსმალეთს ებრძოდა.

ოსმალეთის საკითხისადმი ამგვარი მიდგომით იყო გამოწვეული ის, რომ ვერასოდეს ვერ მოხერხდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ანტიოსმალური ძალების გაერთიანება. სწორედ ეს აძლივდა საშუალებას ოსმალეთს მძარცველური ომები ეწარმოებინა ხან დასავლეთში, ხან აღმოსავლეთში.

ჩვენი აზრით, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი სავსებით სწორად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას: ოსმალეთის აგრესიის წარმართვა დასავლეთის წინააღმდეგ (ეს შაჰის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო) არ შეესაბამებოდა საქართველოს ინტერესებს. ოსმალეთის ხანგრძლივი ომები დასავლეთში ხელს უხსნიდა ყიზილბაშურ ირანს, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა გაეძლიერებინა საქართველოზე.

ასე რომ, ქართული დიპლომატიის კარდინალური ამოცანა იყო, არ დაეშვა ირან-ოსმალეთის მორიგება და ხელი შეეწყო მათ შორის მუდმივი დაძაბულობისათვის, რათა არც ერთ მოქიშპეს არ ჰქონოდა საქართველოზე განუყოფელი ბატონობის შესაძლებლობა. ქართველი დიპლომატების ეს მიზანი ადრევე გახდა ცნობილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ჰაბსბურგების იმპერიის, უნგრეთისა და ვენეციის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანიც ხომ ირან-ოსმალეთს შორის მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნება იყო და, ამდენად, საქართველო მათ ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენდა. ამავე პერიოდში საფრანგეთი დაინტერესებული იყო ოსმალეთის აგრესიის წარმართვის რომის საღმრთო იმპერიის წინააღმდეგ. ამდენად, საქართველოს (უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს) დიპლომატიური ზრახვები ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის მიზნებს.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რა დიდი იყო ინტერესი საქართველოს მიმართ, რაც განსაკუთრებით მაშინ ცხოველდებოდა ზოლმე, როცა ირან-ოსმალეთის ომები მიმდინარეობდა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა საქართველოს შესახებ არსებული ევროპული წყაროების სიუხვეს.



წინამდებარე რელაციის ავტორი უცნობია. ჩვენი ვარაუდით, იგი სამხედრო პირი უნდა იყოს. მას, თავის თანამედროვე სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ნაკლებად აინტერესებს ქვეყნის, ოლქის ან ქალაქის ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის ესა თუ ის მხარე. ავტორი შემოიფარგლება ბუნებრივი პირობების, სტრატეგიული ადგილების, ციხე-სიმაგრეების, ჯარის სახეობათა და შეიარაღების აღწერით, რაშიც დიდ ცოდნას ამჟღავნებს. მან იცის, თუ რამდენი მეტრძოლისაგან შედგება ოსმალთა ჯარის ესა თუ ის ქვედანაყოფი, სადაური წარმოშობისანი არიან ჯარისკაცები, ვინ მეთაურობს მათ, როგორია მათი შეიარაღება და, არც თუ იშვიათად, იცის, რა ურთიერთობა (ნათესაური თუ სხვ.) არსებობს ამა თუ იმ ფაშასა და მთავარსარდალს შორის. მისთვის ცნობილია ამა თუ იმ მეთაურის გულადობა და სიმხდალე, ნიჭიერება და უნიჭობა. ანონიმმა ავტორმა დაწვრილებით იცის ის მარშრუტი, რომლითაც მიდიოდა ლალა მუსტათა ფაშას ჯარი კავკასიაში, სად, რომელი საფაშოს ჯარი შეუერთდა, რა სახის და რა რაოდენობის პროდუქტი მიიტანეს მთავარ ბანაკში და ა. შ.

ანონიმი ზუსტად გადმოგვცემს ამა თუ იმ მოვლენასა და თარიღს. ეს თარიღები, როგორც შენიშვნებში დავინახავთ, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ აქამდე უცნობი ფაქტი თუ მოვლენა, ან დავაზუსტოთ ზოგიერთი მათგანი.

სავარაუდოა, რომ ანონიმი ავტორი თან ახლდა ოსმალთა ჯარს და უშუალო დამკვირვებელი იყო იმ მოვლენებისა, რომლებიც ირან-ოსმალეთის ომს და მასში ქართველების მონაწილეობას, საქართველოში დატრიალებულ ამბებს შეეხება. მან განსაკუთრებით კარგად იცის ოსმალთა ლაშქართან დაკავშირებული მოვლენები.

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ანონიმ ავტორს ინფორმაციად ჰყავდა ოსმალეთის მთავარსარდალობასთან დაკავშირებული პირი. ამ უკანასკნელი მოსაზრების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ, მისი თანამედროვე ავტორებისაგან განსხვავებით, ანონიმი გეოგრაფიულ სახელებს თურქული ფორმებით აღნიშნავს. ასევე თურქულ

ტერმინებს იყენებს ჯარის სახეობათა აღნიშვნისას და ა. შ. ანონიმი რომ ლაშქრობის მონაწილე ყოფილიყო, შეეცდებოდა ადგილობრივი, ქართული ტოპონიმები ეხმარა.

ანონიმი ავტორი თავის ანგარიშს თუ შთაბეჭდილებებს იმათთვის წერდა, ვისთვისაც ცნობილი იყო ოსმალეთის საშინაო თუ საგარეო ამბები, მაგრამ არაფერი იცოდა ოსმალეთის მთავარი მოწინააღმდეგის, ყიზილბაშური ირანის შესახებ. ამიტომ რელაციის ავტორი ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, შეევესო ეს ხარვეზი. მაგრამ, როცა ის ირან-ოსმალეთის ომამდელ ირანის პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება, სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. მან ისიც კი არ იცის, თუ ვინ არის ირანის შაჰი ომის დასაწყისში. პრიმიტიულად აქვს წარმოდგენილი ირან-ოსმალეთის ომის მიზეზები და საერთოდ, არ იცის, რა ხდება ფრონტის მეორე მხარეს. მას ხშირად არასწორი წარმოდგენა აქვს (აზვიადებს) ყიზილბაშთა ჯარის რაოდენობაზე. ერთი სიტყვით, როგორც აღვნიშნეთ, არაფერი იცის ყიზილბაშური ირანის შესახებ.

როგორც თხზულებიდან ჩანს, ანონიმის ძირითადი მიზანია ნათელ-ყოს ქართველების ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. ქართველებისა და საქართველოს შესახებ ცნობების მოპოვებას ის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანონიმის თხზულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თანამედროვე ევროპელი თუ აღმოსავლელი ავტორების ნაშრომებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპელი ავტორები ცდილობდნენ მაკმადიანური მეზობლების წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს მაგალითი საავტორიო მიზნით გამოეყენებინათ: პატარა ქრისტიანული საქართველო ებრძვის ოსმალეთს და არც თუ წარუმატებლად, მაშინ, როცა ძლიერმა ქრისტიანულმა ევროპამ ვერ შეძლო თავისი ანტიოსმალური ძალების მობილიზება.

ავითარებდნენ რა ამ აზრს, დასავლეთევროპელი ავტორები ზოგჯერ აზვიადებდნენ ქართველთა წარმატებებს, რაც კარგადაა ასახული მაშინდელ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში.

რაც შეეხება ირანელ და ოსმალ ავტორებს, ისინი პირიქით ცდილობდნენ დაემცირებინათ ან მიეჩქმალათ ქართველთა მამაცობა. მათი თავდადება სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ოსმალებსაც და ირანელებსაც საკუთარი პოზიცია გააჩნდათ და, ამდენად, მათი თხზულებანიც ტენდენციურია.

ზემოაღნიშნული ქრისტიანი და მუსლიმანი ავტორებისაგან განსხვავებით, ჩვენი ანონიმი ცდილობს ობიექტური იყოს. მისი თხზულების მნიშვნელობა უფრო ნათლად გამოვლინდა მისივე თანამედროვე იტალიელი ავტორების (ჯოვანი ტომაზო მინადოი, პაოლო ჯოვიო და.

სხვ.) ნაშრომებთან შედარებისას. ანონიმის ცნობები განსაკუთრებულ-  
ლი სიზუსტით გამოირჩევა.

ძნელია იმის თქმა, რომ რელაციაზე მუშაობისას ანონიმს სხვა რომელიმე ნაშრომით ესარგებლოს. ჩვენი დაკვირვებით, არც სხვა ავტორებს უსარგებლიათ ამ რელაციით, რადგან იგი XIX საუკუნემდე არასოდეს გამოქვეყნებულა. მისი პუბლიკაცია ყოველგვარი განმარტებისა და გამოკვლევის გარეშე განახორციელა ეუჯენიო ალბერტი<sup>1</sup>. ზემოდასახელებული რელაცია არც სხვა რომელიმე ენაზე თარგმნილა. ასე რომ, წინამდებარე გამოცემა ანონიმური რელაციის პირველი თარგმანია.

მართალია, რელაცია XVI საუკუნის ვენეციურ დიალექტზეა დაწერილი, მაგრამ იგი ახლოს დგას თანამედროვე სალიტერატურო იტალიურ ენასთან. თხზულების ენა სადა და მარტივია.

ის გეოგრაფიული და პირთა სახელები, რომლებიც ექვს არ იწვევენ, თარგმანში გადმოვეციტ ქართულ ენაში მიღებული ფორმებით. მათი უმრავლესობის თანამედროვე ფორმის დადგენა გაგვიძნელდა. ეს განსაკუთრებით არაქართულ სახელებზე ითქმის, ამიტომ ისინი ორიგინალის ფორმით გადმოვიტანეთ.

იმის გამო, რომ ავტორი იყენებს ისეთ სპეციალურ ტერმინებს, რომლებიც დღეს საერთაშორისო სიტყვებადაა მიღებული, მათი თარგმნა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ (სხვანაირად ტექსტი დაკარგავდა თავის კოლორიტს), და თარგმანის ბოლოში სიტყვათა ლექსიკონი დავურთეთ.

---

<sup>1</sup> რელაციის სრული სათაურია: თურქეთის იმპერატორ სულთან მურადსა და სპარსეთის მეფე სულთან ჰეიდარ შირზას შორის მიმდინარე ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577 წლიდან 1581 წლამდე. *Successi della guerra tra sultano Amurat, imperatore de'Turchi e sultano' Caidar Mirza, re di Persia, e li Georgiani sristiani, dal 1577 sino all'anno 1581.* წიგნში: *Relazioni degli ambasciatori veneti al Senato. Raccolta, annotate ed edite da Eugenio Alberi. Serie III<sup>a</sup>—volume II<sup>a</sup>, Firenze, 1844, p. 427—470.*

თურქეთის იმპერატორ სულთან მურადსა და სპარსეთის  
მეფე სულთან ჰეიდარ-მირზას შორის მიმდინარე ომი  
და ძრისტიანი ქართველები. 1577 წლიდან  
1581 წლამდე

1577 წლის ივნისში სპარსეთის დედაქალაქ თავრიზში მიიცვალა სპარსეთის მეფე თამაზი, კონსტანტინოპოლელი თურქების უდიდესი მეგობარი და მომხრე<sup>1</sup>. მისი მეორე ვაჟი ისმაილი მამისადმი ურჩობის გამო ყაზვინის ციხეში იყო ჩამწყვდეული<sup>2</sup>. [თამაზის] ქვეშევრდომებმა მაშინვე გაათავისუფლეს იგი პატიმრობიდან და თავიანთ მეფედ გამოაცხადეს<sup>3</sup>. ისმაილს უნდოდა მისი მეფედ კურთხევის ცერემონიალი ქალაქ ბაბილონში, წინასწარმეტყველის იმამ ჰუსეინის საფლავზე მომხდარიყო, მაგრამ, რადგან [ბაბილონი] თურქების ქვეყანაშია და მტკიცედაა დაცული, იქ ვერ წავიღოდა დიდი ჯარის გარეშე. გარდა ამისა, მეფედ კურთხევის დროს, ჩვეულების თანახმად, მოსახლეობას ურიგებდნენ ხოლმე ცხენებს, იარაღსა და ფულს, რათა შეიარაღებული ხალხი მწყობრით გაჰყოლოდა და ხმალი ჩამოეკიდა მეფასთვის. ამიტომ ის მეფეები, რომლებიც პირველად იმ ქალაქში არ ეკურთხებიან, ხმალს არ ატარებენ. [ისმაილმა] იცოდა, რომ მამამისის ყველა მრჩეველი და კარისკაცი მისი დაუძინებელი მტერი იყო. ამიტომ მათი დახოცვა გადაწყვიტა და აასრულა კიდეც<sup>4</sup>. მრჩეველბად კი სსეები დანიშნა. მათ ურჩიეს, რომ საჭირო იყო ელჩების გაგზავნა სულთანთან, რათა განემტკიცებინათ მამების მიერ დადებული საზავო ხელშეკრულება. მაგრამ [ისმაილს] არ უნდოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან შინაგანად მტერი იყო სულთანისა და თავს იმით იმართლებდა, რომ ხსენებულმა სულთანმა ღირსადაც კი არ ჩათვალა ელჩები გაოვეგზავნა გათავისუფლებისა და მემკვიდრეობით სამეფო გვირგვინის მიღების მისალოცად. მრჩეველები ხედავდნენ, რომ იგი ჭიუტი იყო და მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე, მიუხედავად მრავალი ჩავონებისა, რომ დიდ ხიფათს და ზარალს მოუტანდა ომი მის სამეფოს, ისმაილი უფრო გაჭიუტდა. ამიტომ მრჩეველებმა გადაწყვიტეს, უკიდურესი ზომისთვის მიემართნათ — მოეკლათ იგი. ისმაილის ერთ-ერთმა საყვარელმა შურისძიება მოკლული მამის გამო და მოწამლული თრიაქი მისცა მას<sup>5</sup>. [ისმა-

ილი] სიცოცხლეს გამოასალმეს ტყვეობიდან გათავისუფლების წელსვე, ოქტომბერში. ასე რომ, მან მხოლოდ ოთხ თვეს იმეტა<sup>6</sup>.

ისმაილის სიკვდილის შემდეგ კარისკაცებმა და დიდებულებმა მოიწვიეს მისი მესამე ძმა — ჰეიდარ-მირზა<sup>7</sup>, რომელსაც სუსტი მხედველობა ჰქონდა და იმჟამად ჯიზანში იმყოფებოდა. განსვენებული ძმის მაგიერ მას უნდა დაეკავებინა ტახტი. მრჩეველებს მეორე ძმის, ჯუნეიდ-მირზას<sup>8</sup> გამეფება უნდოდათ, მაგრამ იგი სატახტო ქალაქიდან საკმაოდ შორეულ პროვინციაში, ხორასანში, იმყოფებოდა. ჯუნეიდ-მირზა მთელს სამეფოს უყვარდა ღირსეული საქმეების გამო, მაგრამ, რადგან შორს იყო, ამიტომ მოიწვიეს მესამე ძმა, ხსენებული ჰეიდარ-მირზა<sup>9</sup>, რომელიც უდიდესი ზეიმით მიიღო ხალხმა. მეფეთა და ხელმწიფეთა ჩვეულების თანახმად, ჰეიდარ-მირზას სურდა თავისი სახელმწიფოს მშვიდობისა და ომის საკითხებზე ეზრუნა. ამიტომ ახალ მრჩეველებს ჰკითხა, როგორი ურთიერთობა დაემყარებინა თურქებთან: ელჩები გაეგზავნა სულთანთან, თუ დალოდებოდა, როდის გამოუგზავნიდა იგი დესპანს გამეფების მისალოცად. მრჩეველებმა დაარწმუნეს, რომ მოცდა ჯობდა, ხოლო, როცა სულთანი ელჩებს გამოგზავნიდა მისალოცად, ამის შემდეგ მოეთხოვა მამების მიერ დადებული მშვიდობის ზავის განმტკიცება. მან მიიღო ეს რჩევა. მაგრამ განვლო დღეებმა და თვეებმა, სულთანმა არც ელჩები აახლა და არც რაიმე მისწერა. სპარსეთის სამეფოს დიდებულები თავიანთი მეფისა და სინიორისათვის კეთილგანწყობილებისა და დიდი სიყვარულის დასამტკიცებლად მივიდნენ მასთან და საკუთარი სიცოცხლე და ქონება შესთავაზეს, თუკი მისი უდიდებულესობა ომს დაიწყებდა. მეფემ ყურადღილო დიდებულთა საერთო აზრი და ომის დაწყება ბრძანა. თავდაპირველად ბაბილონის სახელმწიფოზე<sup>10</sup> უნდა გაელაშქრათ, რადგან იქ განისვენებდა (როგორც თავად ამბობენ) მათი ყველაზე დიდი წმინდანის, წინასწარმეტყველ იმამ ჰუსეინის ნეშტი<sup>11</sup>. როცა სპარსეთის მეფის ეს განზრახვა შეიტყვეს, თურქეთის სხვადასხვა სამეფოსა<sup>12</sup> და პროვინციის ფაშებმა და გამგებლებმა სულთანს მისწერეს, რომ პირველად მას დაეწყო ომი და სთხოვდნენ სპარსეთის სამეფოსა და პროვინციების გაძარცვის უფლება მიეცა. როგორც კი ეს ამბავი კონსტანტინოპოლში გაიგეს, სულთანმა სასწრაფოდ ფაშები მოიწვია და რჩევა სთხოვა, ფაშებმა დაარწმუნეს, რომ მისი უდიდებულესობის ღირსებისათვის უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი პირველი დაესხმებოდა თავს სპარსელთა პროვინციებს, ხოლო, როცა შეშფოთებული [სპარსელები] იკითხავენ ომის დაწყების მიზეზს, მას შეუძლია უპასუხოს, რომ მოითხოვს იმ არტილერიას, იარაღსა და საგანძურს, რაც სპარსელებმა

წაართვეს მის ბიძას, სულთან ბაიაზიდს. ეს იქნებოდა მშვენიერი საბაბი. ამგვარად, გადაწყდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ ომი.

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე სულთანმა მისწერა თავისი პროვინციების ფაშებს, რომ ომისათვის მომზადებულიყვნენ და, ვიდრე კონსტანტინოპოლიდან გენერალს გაუგზავნიდა, სპარსელთა ის პროვინციები გაენადგურებინათ, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ. 1577 წლის 17 იანვარს [სულთანმა] თავის ვეზირს, მუსტაფა ფაშას<sup>13</sup>, უბრძანა სასწრაფოდ წასულიყო ჯარით არზრუმის მხარეს, რათა შირვანის სამეფო და სპარსელთა მეგობარი და მოკავშირე ქართველთა პროვინციები დაეპყრო. იმავდროულად მეორე ვეზირს — სინან ფაშას<sup>14</sup> უბრძანა მტერს ბაბილონის მხრიდან მიახლოებოდა ჯარით. მან მუსტაფა ფაშას ჩააბარა სამეფო კარის დიდი ჯარი: სამი ათასი იანიჩარი, სამი ათასი სპაოღლანი, მსუბუქი კავალერიის ათასეული, სამასი მცირე ქვემეხი და მრავალი დიდი სამოცმილიმეტრიანი კოლუბრინი. ხსენებული არტილერიის გადასატანად მისცა ათას ხუთასი ცხენი და კამეჩი; დიდი რაოდენობით — დენთი, ქურავები და მრავალი სხვა აუცილებელი რამ; ექვსასი კაცი ცხენებისა და არტილერიის მომვლელად; ოთხასი იარაღების ოსტატი, რომლებსაც გამოიყენებდნენ საჭიროების მიხედვით; ფული — ას ათი სომი, რაც შეადგენდა ორას სამოცდათხუთმეტ ათას ლუკატს. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სულთანმა მუსტაფა ფაშას მისცა სამასი აქლემის ჯოგი, რითაც ამუნიცია და ჯარისკაცების ბარგი უნდა გადაეტანათ. აგრეთვე დოღის, საყვირისა და სხვა ინსტრუმენტების დამკვრელი ოცდაათი მუსიკოსი ბანაკისა და თვით ფაშასათვის. მუსტაფა ფაშას უნდა გაეგლო კონსტანტინოპოლიდან ორი მილის დაშორებით მდებარე სკუტარში<sup>15</sup> და თავისი ჯარისთვის შეეერთებინა ყარამანის<sup>16</sup> ფაშა მეჰმედის ექვსი ათასი, სივასის<sup>17</sup> ფაშა მაჰმედის — ხუთი ათასი და არზრუმის ფაშა ბაჰრამის<sup>18</sup> — ცამეტი ათასი, აგრეთვე ყარამითის ფაშა დარვიშის — ოცი ათასი მხედარი. დასახელებულ ფაშებს დაევალიათ თავინთი ჯარის სურსათ-ნანოვავე თავიანთსავე საფაშოებში მოემარაგებინათ. ბაბილონის ჯარების სარდალს სინან ფაშასაც იმდენივე ჯარი, ცხენები, ფული, აქლემები და არტილერია გამოუყო სულთანმა, რამდენიც მუსტაფა ფაშას. [სინან ფაშას] თავიანთი ჯარებით უნდა დახმარებოდნენ ბაბილონის ფაშა ჰუსეინი — ოცდაათი ათასი მხედრით, ალეპოს ფაშა მეჰმედი — ექვსი ათასი მხედრით და მარაშის ფაშა აჰმედი — ოთხი ათასი მხედრით. სურსათ-სანოვავე მათაც საკუთარ საფაშოებში უნდა მოემარაგებინათ. ამ ორ გენერალს შორის უთანხმოება ჩამოვარდა<sup>19</sup>. თითოეული მათგანი დაჟინებით მოითხოვდა ორივე ჯარის სარდალად დაენიშნა სულთანს. სულთანმა გაითვალისწინა რა მუსტაფა ფაშას დიდი პრაქტიკული გამოც-



დილება, ორივე ჯარის სარდლად დანიშნა და უბრძანა, რომ სკუტარიდან გასვლის შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა. [მუსტაფა ფაშამ] მაშინვე უბრძანა თავის ხელქვეითებს წესრიგში მოეყვანათ ჯარი, მოემარაგებინათ სურსათ-სანოვავე და საერთოდ ყველაფერი, რაც ომისათვის იყო საჭირო. კაიროში ჩაუშო გაგზავნა, და ადგილობრივ ფაშას ბრინჯის, ლობიოს და სხვა მსგავსი საკვების დამზადება უბრძანა. ასეთივე ბრძანებები გაიგზავნა საბერძნეთის, ანატოლიის, ყარამანიის, სირიის, კაიროს და სხვა პროვინციების დედაქალაქებში, რათა შეეკრიბათ ჯარისათვის საჭირო ხელოსნები, ვაჭრები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდნენ ბანაკს.

13 აპრილს, იმავე გენერალმა ბრძანა ხუთი გაღერა და ორი მანა დეტეირათ მრავალი იანიჩრით, არტილერიით, ჭურვით, თოფით და სხვა იარაღით და გადმოეტეირათ ტრაპიზონში, რომელიც იმ ადგილთანაა ახლოს, სადაც მთელ ჯარს უნდა გაევიღო. იმავე დღეს გენერალი სულთანს ეახლა გამგზავრების ნებართვის სათხოვნელად. მას თან ახლდა ყველა ფაშა და კარის დიდებული. მუსტაფა ფაშა ამგვარი მომენტისთვის საჭირო ჩვეული ცერემონიალით წარდგა სულთანს წინაშე. [სულთანმა] დალოცა იგი და ოქროქსოვილის სამოსით დააჯილდოვა, კარვის აშლა უბრძანა და მალე გაისტუმრა. ხსენებული გენერალი მაშინვე გამოეთხოვა სულთანს და მის განკარგულებაში მყოფი ხუთი გაღერიდან ერთ-ერთზე ავიდა. მასთან ერთად იმყოფებოდა ყველა ის ფაშა და დიდებული, რომელიც სულთანმა აახლა. მათ გადაცურეს სრუტე, მივიდნენ სკუტარის მახლობლად ფაშას ბანაკში და გამართეს დიდებული სადილი, რომლის დასრულების შემდეგ მან ყველა გაისტუმრა. დიდებულები კონსტანტინოპოლში დაბრუნდნენ.

[მუსტაფა სკუტარში] დაახლოებით ოცი დღე დარჩა და მწყობრში მოიყვანა ჯარი. სულთანი ხედავდა, რომ მუსტაფა ფაშა აყოვნებდა გამგზავრებას. ამიტომ გადაწყვიტა, გადაეღახა სრუტე და დავანებულყო თავის ერთ-ერთ სასახლეში, რომელიც ახლოს იმყოფებოდა იმ ადგილთან, სადაც ხსენებული გენერალი იყო დაბანაკებული. სასახლეში მისვლისთანავე სულთანმა გაიხადა ფარჩის ოქროქსოვილი სამოსი და ძვირფასი ქვებით მოჭედებულ მოღუნულ თურქულ ხმალთან ერთად გაუგზავნა მუსტაფა ფაშას და უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გამგზავრებულყო. საჩუქრები რომ მიიღო, გენერალმა მადლობა მოახსენა და შეუთვალა სულთანს, რომ სიამოვნებით დაემორჩილებოდა მის ბრძანებას. მთელ ბანაკში მაშინვე გაიცა განკარგულება მზადყოფნისა და მეორე დღეს გამგზავრების შესახებ. გენერალს ძალიან კარგად ესმოდა, რომ მისი მბრძანებელი სასახლეში იმისათვის გაჩერდა,

რათა თვალი ედევნებინა, როგორ აიშლებოდა ბანაკი. ამგვარად, ხუთ მაისს, ოთხშაბათს, [გენერალი] შესანიშნავი მწყობრით გავიდა სკუტარიდან მთელ ჭართან ერთად. ასე იმიტომ მოიქცა, რომ მისი სინიორი, რომელიც მარშის დროს ფანჯარასთან იდგა, კმაყოფილი დარჩენილიყო. [გენერალი] მივიდა მალტებეში, შეჩერდა და ქვეითებისა და ცხენოსნების დათვალიერება მოაწყო. მან კვლავ გააგრძელა გზა და ოთხი დღის შეუჩერებელი სიარულის შემდეგ მივიდა ერთ ქალაქში, რომელსაც იზმითი ჰქვია. აქ მოაწყო ნადიმი იანიჩრებისა და სიფაჰებისათვის და დააჩილდოვა კიდევ. იანიჩრებიდან ოთხი ამოარჩია და თავის ჩაუშად დანიშნა, ხოლო ოთხი კავალერისტი — საქურველმტვირთველად. ჭარის გავლის შედეგად [იმ მხარეში] ყველაფერი გაძვირდა. ამიტომ მან თავისთან დაიბარა როგორც იანიჩრების, ასევე არტილერისტების ალა და ჩააბარა მთელი ის არტილერია, რაც თან მიჰქონდა, დაახლოებით სამასი მცირე ქვემეხი და უბრძანა, რომ სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ არზრუმში, სადაც მთელი ჭარი უნდა შეყრილიყო. თვითონ კი ყარამანიისაკენ გაეშურა და კონსტანტინოპოლიდან გასვლის ოცი დღის შემდეგ მივიდა ქალაქ ალჯინში, იქ ხუთი დღე გაჩერდა, რათა ცხენებისათვის ბალახი მიეცა, ხოლო ჭარისათვის — დასვენება. იქიდან აიყარა და სამი დღის შემდეგ მიაღწია კონიას, სადაც ყარამანიის ფაშა იმყოფებოდა. ფაშა მთელი თავისი კავალერიით გამოვიდა გენერლის შესახვედრად და მისადმი პატივისცემის გამოხატვის მიზნით კარვის წინ მიწაზე ორი თოფი ოქროქსოვილი ფარჩა გაუშალა, რათა მასზე გაეგლო [გენერალს]. სამი დღის შემდეგ [გენერალი] გაემგზავრა და მეთუე დღეს მივიდა ქალაქ სივასში. სადაც მთელი ჭარითა და ზარ-ზეიმით გამოეგება ადგილობრივი ფაშა. მეორე დღეს ხსენებული გენერალი ორ ფაშასთან ერთად გაემგზავრა და ოცი დღის შემდეგ მიაღწია ერთ უზარმაზარ მინდორს, რომელიც არზრუმთან სამი მილით იყო დაშორებული. იქ იმყოფებოდნენ იანიჩართა და არტილერისტთა ალები, ქალაქ არზრუმის ალა ოსმან ფაშა. ის თავისი ჭარით ელოდა [გენერალს]. ყველანი მხედრებითა და ქვეითი ჭარით გაეშურნენ მის შესახვედრად. ისინი დიდი ზეიმით შეეგებნენ მას და ქვემეხების გრიალით მიესალმნენ. [გენერალმა] ნახა, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო მოსული არც ჭარი, არც სანოვაგე და არც ხაზინა, რომელსაც ელოდა დამასკოდან, სირიიდან, ყარამანიიდან და სხვა ადგილებიდან. ამიტომ გადაწყვიტა დაეცადა. მათი მოსვლა და ყველაფრის მოზიდვა რომ დაეჩქარებინა, ოცდაორი დღე დარჩა იქ. ამ დროს დამასკოდან მოვიდა ჭარი ხაზინასთან ერთად, რომელიც შეადგენდა დაახლოებით სამასი ათას ცეხინს. ამდენივე ჩამოიტანეს ალეპოდან, ყარამითიდან და ყარამანიიდან — ორმოცი. სომი, რაც ორმოცი ათას

ეცხინს შეადგენდა, ხოლო სივასიდან და არზრუმიდან სამოცდაჩვიდ-მეტი სომი ასპრი გამოგზავნეს, რაც დაახლოებით ას ოცდაოთხი ათას ეცხინს უდრის. ყარამითიდან მორეკეს მრავალი აქლემი აღნიშნული ხაზინის, სურსათისა და ამუნიციის წასაღებად. მორეკეს აგრეთვე ოთხ-მოცი ათასი ცხვარი მრავალ ათას მსუქან ღორთან ერთად. ამის შემდეგ [გენერალმა] ჭარის გაგზავნა მოისურვა. ეს ჭარი დაახლოებით სამასი ათასი კაციისაგან შედგებოდა, თუ არ ჩავთვლით ექვსი ათას იანიჩარს, არკებუზერს, არტილერისტს, დიდი რაოდენობით ვაჭარსა და ხელო-სანს. [გენერალმა] ყველა ფაშა და ალა დაიბარა და მითითებები მისცა. უპირველეს ყოვლისა, მარაშის ფაშას, აჰმედს, დაავალა, რომ თავისი ჭარი არზრუმიდან ორი დღის სავალზე მდებარე ქალაქ კარაკესეში გა-ეყვანა და ის მხარე დაეცვა, რაზეც ფაშამ უპასუხა: „ბატონო გენერა-ლო. მე მზად ვარ აქ ავასრულო თქვენი ბრძანებები და მუდამ გემსა-ხუროთ. ამიტომ გთხოვთ, ნუ გამგზავნით იქ, მაშინვე თქვენს მახ-ლობლად. გენერალმა ეს რომ მოისმინა, საშინლად განრისხდა. დანარ-ჩენი ჭარი რომ დაეშინებინა და უსიტყვო მორჩილებაში ყოლოდა, ჩაუშს მოუხმო და უბრძანა თავი მოეკვეთა ფაშასთვის. მაგრამ სხვა ფაშებმა, ალებმა და მუფთიმ სთხოვეს მისი შეწყალება. სიცოცხლე აჩუქა გენერალმა მას, მაგრამ საგამგებლო და ფაშას წოდება ჩამოარ-თვა. ფაშას მაგიერ დანიშნა მისი ნათესავი სანჯაყ-ბეგი მუსტაფა, რო-მელიც ანატოლიის ბეგი იყო. აჰმედმა, თუმცა დაჰკარგა ფაშას თანამ-დებობა, მაინც ითხოვა პატიება დაშვებული შეცდომის გამო და შე-ეხვეწა გენერალს, ნება მიეცა ასე უფლებააყრილი დარჩენილიყო თავის მონებთან, რათა სულთნისათვის ებრძოლა. მან უპასუხა, რომ გე-ნერლის ურჩობა სულთნის ურჩობას ნიშნავდა და დანაშაულის გამო-სასყიდად ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებოდა.

ამის შემდეგ ბანაკში გამოაცხადეს, რომ არზრუმიდან ერთი მილის დაშორებით კარვების, ბარგის გადაზიდვის და აქლემების გადაყვანის შემდეგ ჭარი ცხენებითა და იარაღით იმავე ადგილას უნდა დარჩენი-ლიყო. [გენერალს] ჭარის დათვალიერება სურდა. აგრეთვე განზრახუ-ლი ჰქონდა, არზრუმში დატყვევებული სპარსელებისათვის ეჩვენებინა ჭარი. ამიტომ ტყვეები ქალაქის კედელზე სწორედ იმ ადგილას დაა-ყენა, სადაც მწყობრით უნდა გაევლო მთელ ჭარს არტილერიისა და არკებუზერის სროლით, შეხლა-შემოხლითა და ცხენების ქენებით. კარ-ვებთან მისულებს მდიდრულად გაშლილი სუფრები დახვდათ. იქ იმ-ყოფებოდა ყველა ფაშა. სანჯაყ-ბეგი, ალა, იანიჩარი და მხედარი. სა-კუთარი ძლიერების საჩვენებლად ერთი ტყვე სპარსელი მიიყვანეს. სადილის შემდეგ გენერალი დაბრუნდა თავის კარავში ყველა ფაშას-თან, აღასთან და იმავე ტყვე სპარსელთან ერთად და ჰკითხა: შეეძლო

თუ არა შეეფასებინა ურიცხვი ჯარი და ძვირფასი სუფრა. ტყვემ უპასუხა: [სულთნის] ჯარი სპარსეთის მეფის ჯარზე მეტია და გოაცებას იწვევს ამგვარი ძლიერება და სიუხვე. ეს რომ მოისმინა გენერალმა ტყვეს გადასცა მეფისათვის განკუთვნილი წერილი, ოთხი ათას ასპერად ღირებული საპატიო ხალათი და გააყოლა ერთი იანიჩარი, რომელსაც საზღვრამდე უნდა მიეცილებინა იგი, რათა თავს არავინ დასხმოდან. ეს მოხდა იღლისის ბოლო რაიონში. მეორე დღეს კი გენერალი მთელი ჯარით გაეშურა ქართველების ქვეყნისაკენ, რათა დაეპყრო იგი, თუკი სპარსეთის მეფე შეთავაზებულ ზავზე<sup>20</sup> არ დათანხმდებოდა. ორი დღის შემდეგ მივიდა ერთ ციხე-სიმაგრესთან, რომელიც სპარსეთისა და საქართველოს საზღვარზე მდებარეობდა. [ქარმა] შეუსვენებლად იარა და მეორე დღეს საქართველოში შესვლა დაიწყო შემდეგი თანმიმდევრობით: ავანგარდში მიდიოდა ყარამითის ფაშა ოცი ათასი მხედრით და — არზრუმის ფაშა ცამეტი ათასი მხედრით; მათ მიჰყვებოდნენ არტილერისტები ყველა საველე ზარბაზნითა და საქურელით. თითოეულ ქვემებს მიათრევდა ოთხი ცხენი. მათ შემდეგ ქვეითად მიდიოდა ექვსი ათასი იანიჩარი და არკებუზერი, შემდეგ ასი მხედარი, აგრეთვე დიდი რაოდენობით შეკაზმული, ოქროთი მორთული ცხენები. რომლებიც აღვირებით ეკავათ მხედრებს. ისინი გენერლის მარჯვენა ცხენები იყო. შემდეგ მიდიოდნენ მოსამსახურენი და მეჯინბეცი, შემდეგ კი — თვით ხსენებული გენერალი, რომელსაც მისდევდა სამი არკებუზერი, ხოლო მათ უკან მიჰყვებოდა მისი ორი უწვერული ყმაწვილი მსახური, რომლებსაც გენერლის იარაღი მოჰქონდათ. შემდეგ მოჰქონდათ მთავარი დროშა სხვა სახელგანთქმული დროშების, ყველა ფაშას, აღას, სანჯაყ-ბეგისა და დანარჩენი მეთაურების დროშების თანხლებით. მარჯვენა ფლანგზე მიდიოდა ორი ფაშა თავ-თავისი ჯარით, ხოლო მათ მიჰყვებოდა ალალი, მსახურები, ორი მოხალისე კაპიტნის წინამძღოლობით. ორი დღის განმავლობაში მარშით სიარულის შემდეგ მთელი ჯარი ზიადგა ქაჯის ციხეს, რომელიც ქართველებს ეკუთვნით. ვიდრე მთელი ჯარი მიაღწევდა ხსენებულ ციხეს, ავანგარდი თავს დაესხა და მოხალისეების დახმარებით დაიპყრო, გაძარცვა და გააღრცა მოსახლეობა. ეს მოხდა 14 აგვისტოს<sup>21</sup>. გენერლის მოახლოებისას ავანგარდმა დიდი რაზმი ციხეში დატოვა და კარვების გაშლა დაიწყო. ვიდრე ავანგარდი კარვებს გაშლიდა, ჯარი წესისამებრ ცხენებზე იყო ამხედრებული საბრძოლო მზადყოფნაში, რადგან ავანგარდის კარვები ბანაკის კარვებისაგან საკმაოდ მოშორებით დგას. ბანაკის შუაგულში გენერლის კარავი იშლება, მას იცავენ უპირველეს ყოვლისა, მონები, შემდეგ — იანიჩრები. შემდეგ — სპა-ოღლანები და ჯაჭვებით ერთმანეთზე გადაბმული არტილერია. ბანაკს აქვს ორი ადგილი,

რომელიც მხოლოდ დღისით იხსნება და კიშკრის მაგივრობას წევს. თავის კარავში რომ მივიდა გენერალი, ბეჭემ ფაშას კაფუჯი-ბაში, ე. ი. მსახურთუხუცესი, ეახლა და ციხის ალების ამბავი მოახსენა. განრისხებულმა გენერალმა სილა გააწნა მას და უთხრა: „ძაღლო, რა სიახლეა შენს ნათქვამში? შენ გგონია ამ ადგილს რაიმე მნიშვნელობა აქვს, მე შენ გეუბნები, რომ ეს სიმაგრე კი არა სამტრედია. სასწრაფოდ გამეცალე. თორემ თავს მოგკვეთ!“ მსახურთუხუცესი ტირილით დაბრუნდა თავის ფაშასთან, რომელიც ამის შემდეგ თვითონ ეახლა გენერალს და ციხის ალების ამბავი ხელახლა მოახსენა. [გენერალმა] მადლობა გადაუხადა მას და ნება მისცა თავის ბანაკში წასულიყო დასასვენებლად. საშინელი სიციხე იდგა. მთელი ჯარი დასასვენებლად და ძილისათვის მოეწყო. ამ დროს მოვიდა სპარსეთის მეფის გენერალი მეჰმედ-ხანი<sup>22</sup> თავისი ორმოცდაათი ათასი მხედრით<sup>23</sup> და შვიდი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ქართველით<sup>24</sup>, რომელთაც მეთაურობდა ქართველთა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მანუჩარი<sup>25</sup>. ისინი მივიდნენ ხსენებული ქაჯის ციხის [დამცველთა] დასახმარებლად, მაგრამ იგი დაპყრობილი დახვდათ და თურქების ბანაკიდან დაახლოებით სამი მილით დაშორებული ველის ციხესთან შეჩერდნენ. როცა გაიგეს, რომ თურქები დაღლილი იყვნენ და ისვენებდნენ, გადაწყვიტეს თავს დასახმოდნენ ავანგარდს, რომელიც ოცდამეტი ათასი მხედრისაგან შედგებოდა. მაგრამ ვერ შეძლეს თურქების ბანაკში შეჭრა, რადგან კარვებს შორის გაბმული ბაგირები ჰკეტავდა გზას. თურქებმა გაიგეს თუ არა მათი მოსვლას შესახებ, ცხენებზე ამხედრდნენ და ველზე გაიჭრნენ საბრძოლველად. პირველი შეტაკებისთანავე დაიღუპა ათასზე მეტი [თურქი] და ოცდაათი გამოჩენილი სანჯაყ-ბეგი<sup>26</sup>. ამასობაში დერვიშ ფაშა<sup>27</sup> თავს დაესხა სპარსელთა უმამაცეს გენერალს. მან შუბით ჩამოაგდო ცხენიდან დერვიშ ფაშა, მაგრამ ერთ-ერთი მსახური ჯმალ ჩამოხტა [ცხენიდან] მის დასახმარებლად და საღ ცხენზე შესვა. ის მსახური თვითონ დაიღუპა, რადგან დროულად ვერ მოახერხა ცხენზე შეჯდომა. თურქების ბანაკიდან მავანი წავიდა თავის გენერალთან მტრის [მოკვეთილი] თავითა და ცხენით და მომხდარი ამბის შესახებ მოახსენა. [გენერალი] სიკვდილით დასჯით დაემუქრა ამ კაცს, რათა მას ისეთი არაფერი ეთქვა, რაც პანიკას გამოიწვევდა ბანაკში. გენერალმა ბრძანა ეხმოთ ყველა ფაშა და ალა, რომელთაც დაავალა მწყობრში მოეყვანათ ყველა იანიჩარი და არტილერია. მან სამი ფაშა და დაქირავებული ჯარის ორი ალა თავ-თავის ჯარით გაგზავნა მეზობლთა დასახმარებლად. ბრძანება გასცა, აგრეთვე, სასწრაფოდ აესხათ იარაღი, შეეკაზმათ ცხენები და, თუ საჭირო იქნებოდა, დანარჩენი ჯარიც გაემზადებინათ საბრძოლველად. მტრის მოულოდნელი თავდას-

ხმის აცილების მიზნით, საჭიროდ ჩათვალა, დაეყენებინათ გუშაგთა დიდი რაზმი. ნაშუადღევს მოულოდნელად გენერალთან ვილაც მოვიდა დახმარების სათხოვნელად, რადგან სპარსელებმა და ქართველებმა ცუდ დღეში ჩააყენეს [თურქები]. გენერალმა სასწრაფოდ იხმო ოსმან ფაშა<sup>28</sup> და უბრძანა კარგად მომზადებულიყო, რადგან სურდა მისთვის ჩაებარებინა დროშა და წარჩინების ყველა ნიშანი, დოლები და ინსტრუმენტები, სამასი იანიჩარი, ორმოცი ქვეშეხი, რათა მებრძოლების დასახმარებლად წასულიყო. გენერლის ბრძანების თანახმად, ოსმან ფაშამ წესრიგში მოიყვანა ყველაფერი და ზემონახსენები წარჩინების ნიშნებით, დროშებით, სხვა საკრავებისა და დაფდაფების ცემით თავისიანებისაკენ გაეშურა. წინ უძღოდნენ იანიჩრები, ჩაუშები და საველე არტილერია მიჰქონდათ. გენერლის მსგავსად, ოსმან ფაშა სვენებსვენებით მიდიოდა. გაუდგა თუ არა გზას, მან მაშინვე გაგზავნა ჩაუშები, რომლებსაც უნდა გაევრცელებინათ ყალბი ცნობები, ვითომ თვით გენერალი მიდიოდა მთელი ჯარით. სპარსმა [სარდალმა] უკან გაიწვია ყველა მებრძოლი. ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული და დატყვევებული დარჩა. მეორე დღეს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად და თავისი მებრძოლების გასამხნეველად, გენერალმა ბრძანა გზასთან ახლოს მტრის მოკვეთილი თავებით აეგოთ კოშკი. მან ჩაუშე და მუტეფერეკა გაგზავნა კონსტანტინოპოლში, რათა სულთნისათვის მოპოვებული გამარჯვების შესახებ ეცნობებინა. 16 აგვისტოს გენერალმა ბანაკი აშალა და გაეშურა თეთრციხისკენ, რომელიც დატყვევებულ მანუჩარს<sup>29</sup> ეკუთვნოდა. იქ მისვლისთანავე მან იხმო მანუჩარი და ჰკითხა, რამდენი ქალაქისა და ციხის მფლობელი იყო იგი. [მანუჩარმა] ყველაფერზე გასცა პასუხი. გენერალმა ჰკითხა: „ახლა, როცა დამარცხდით, რა მოელით თქვენს სამფლობელოებს? მანუჩარმა უპასუხა: თქვენს განკარგულებაში ვართ მეც და ჩემი სამფლობელოებიც და შეეხვეწა: მადლობელი ვიქნები, თუ საცხოვრებლად თითო ციხეს დაგვიტოვებ მე და ჩემ მოხუც დედასო<sup>30</sup>. ამით კმაყოფილმა გენერალმა დაუტოვა ყველაფერი, რაც მანუჩარმა ითხოვა და საჯაყ-ბეგობაც უბოძა, თუმცა ქრისტიანობა შეუნარჩუნა. გენერალმა თხუთმეტამდე ქალაქსა და ციხეში დატოვა სანჯაყთა რაზმები, იანიჩრები და არტილერია და მთელი დანარჩენი ჯარით ქალაქ თბილისისაკენ გაეშურა. იგი შიშობდა, რომ ჯარის მისვლამდე მოსახლეობა გაიხიზნებოდა ქალაქიდან. ამიტომ ოსმან ფაშა გაგზავნა ხუთი ათასი მხედრით, რათა მის მისვლამდე შემოერტყა ალყა თბილისისათვის. იგი [თბილისიდან] ორი დღის სავალზე იმყოფებოდა და ნელა მიიწვიდა წინ, როდესაც ოსმან ფაშა ქალაქს მიუახლოვდა, თბილისი და მისი ციხეც დაცარიელებული დახვდა<sup>31</sup>. [ფაშა] ქალაქში შევიდა და ხელთ

იგდო დიდძალი სურსათი და ქონება. მან მაშინვე კაცი გაუგზავნა გენერალს, რომელიც სამი მილის მოშორებით იყო დაბანაკებული, რათა ჭარისკაცებს ცეცხლით ან სხვა რამით არ დაეზიანებინათ სახლები, და აცნობა სიახლენი [ქალაქის ალების შესახებ]. იქ მიედინება დიდი მდინარე მტკვარი, რომელიც შუაზე კვეთს ქალაქს. მის მცხოვრებლებს დაენგრიათ მდინარეზე ვადებული ხიდი, რათა მტერს არ შეძლებოდა მისი გამოყენება. გენერალმა ბრძანა, ერთ დღეში აღედგინათ ხიდი იმ მაღალი მსხვილი ხეებით, რომლებიც ქალაქიდან ცოტა მოშორებით იდგნენ. სამი დღის სიარულის შემდეგ, მან ბრძანა დაედგათ კარები ზემოთ დასახლებული მდინარის მეორე ნაპირზე, შირვანის მხარეს. [თბილისიდან] წასვლის წინ მან ქალაქის დაცვა დაავალა მეჰმედ ბეის, რომელსაც ფაშობა უბოძა<sup>32</sup>. მეჰმედ ბეის ჩააბარა ათი ათასი ცხენოსანი და ქვეითი, სამასი იანიჩარი, ოცდათექვსმეტი ქვემეზი, ამუნიცია, ფული, ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვავე და მანუჩარის სამფლობელოებამდე ქართველთა მთელი ქვეყნის გამგებლად დანიშნა.

გენერალს შირვანში წასვლა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ერთი მეფის<sup>33</sup> ქვეყანა უნდა გაეველო, რომელიც დაბრკოლებას უქმნიდა. ამიტომ გადაწყვიტა სანჯაყ-ბეგი კაიტასი გაეგზავნა ელჩად<sup>34</sup>. მას უნდა დაერწმუნებინა [მეფე], რათა მორჩილება გამოეცხადებინა გენერლისადმი<sup>35</sup>. სამაგიეროდ მეფობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა, თუკი ყოველი ოჯახი თითო ცეხინს გადაიხდიდა, ხოლო მეფე [გენერალს] ცნობდა თავის სინიორად. სამაგიეროდ მას ნურათფრის შიში ნუ ექნებოდა<sup>36</sup>. გაეშურა თუ არა ელჩი, გენერალი მთელი ჯარით მიჰყვა უკან და მესამე დღეს მიაღწა მდინარე იორს, აქ მან კარების გაშლა და დასვენება ბრძანა, სანჯაყ-ბეგ კაიტასი მეფესთან ერთად დაბრუნდა. მეფემ მდიდრული საჩუქრები მოიტანა და ზავი ითხოვა. ზავი დაიდო. მეორე დღეს გენერალი ჯართან და ზემოხსენებულ მეფესთან ერთად გაემგზავრა და გზად შირვანში ლაშქრობის შესახებ ეთათბირებოდა. როცა [შირვანის] ქვეყანას ოთხი დღის სავალზე მიუახლოვდნენ, მეფემ მხედართა რაზმი სთხოვა გენერალს ქალაქ შაქზე გასალაშქრებულად<sup>37</sup>. ქალაქ [შაქის] კაპიტანი და გუბერნატორი მისი მტერი იყო და მეფეს მისი შეპყრობა და მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურისძიება სურდა. გენერალმა მაშინვე მისცა ათას ორასი მხედარი და თვითონაც ზემოდასახლებული ქალაქისაკენ გაეშურა. ქალაქიდან ოთხი მილის დაშორებით მიაღწა ერთ ძალიან დიდ მდინარეს, რომელიც ქართველების ქვეყანას და შირვანს ერთმანეთისგან ყოფს<sup>38</sup>. გენერალმა ვერ შეძლო მდინარის გადალახვა, რადგან არც ხიდები იყო ვადებული და არც ნაევი გააჩნდა. ამიტომ ოთხი დღის განმავლობაში მდინარის აღმა სიარული მოუხდა. ამასობაში, მეფის მოწინააღმდეგე

[შაქის] გამგებელმა მტრის მოახლოება რომ შეიტყო, გაიქცა და სპარსეთს შეაფარა თავი. მეფე შევიდა ქალაქში, დაიკავა იგი, ამოწყვიტა ყველა გუშაგი და მოსახლეობა დაინდო. ამის შემდეგ მალემსრბოლი გაგზავნა, ყველაფერი აცნობა გენერალს, რომელიც მცირეოდენი დაშორებით იდგა ზემოდასახლებული მდინარის ნაპირას და ვერ ახერხებდა ჯარის გადაყვანას. ამ ამბით კმაყოფილმა გენერალმა შეუთვალა, რომ [შაქში] დალოდებოდა, ვიდრე მდინარე დაიკლებდა. მაგრამ მდინარე უფრო მატულობდა და [გენერალს] ექვს დღეს მოუხდა იქ დარჩენა.

იმავდროულად მოვიდა ცნობა, რომლის მიხედვითაც სპარსეთის მეფის ნათესავი და თბილისის სამეფოს გამგებელი ემირ-ხანი თავის მეფეს დაჰპირებოდა, თუ მთელი ჯარის გენერალად დამნიშნავ, [თურქების] ჯარს გაევანდგურებო. გენერალს არ სურდა ამის დაჭერება. მან კვლავ მიიღო ამგვარივე ცნობა თავისიანებისაგან, რომლებიც ჯარისაგან მოშორებით იმყოფებოდნენ სურსათისა და ცხენებისათვის ნამჯის საშოვნელად, რადგან ირგვლივ ყველაფერი გადაბუგული იყო, ზალახიც კი არ მოიძებნებოდა და შიმშილით იხოცებოდნენ. მათ თავს დაესხსა სპარსელთა ჯარი, ზუთასამდე კაცი დაიღუპა და ტყვედ ჩავარდა. გენერალს მაინც არ უნდოდა ამის დაჭერება. ამბის გასაგებად მან სანჯაყ-ბეგი გაგზავნა ორასი მხედრით. სამი მილის გავლის შემდეგ სანჯაყ-ბეგი წააწყდა სპარსელთა მრავალრიცხოვან კავალერიას. ისინი თურქების ჯარის კუთვნილ იმ ექვსას აქლემს მიერეკებოდნენ, რომელიც მდელიოზე ბალახობდა. ეს რომ სანჯაყ-ბეგმა ნახა. დაბრუნდა და ყველაფერი მოახსენა თავის გენერალს, რომელმაც განკარგულება გასცა, მწყობრში მოეყვანათ მთელი ჯარი და სპარსელთა დასალაშქრად გააგზავნა. თავად დაიტოვა არტილერია, იანიჩრებიც და სასახლის სიფაჰებიც. ჯარი მტრის ბანაკისაკენ გაეშურა და მიადგა მდინარე იორს, რომლის გადალახვა არ იყო ადვილი, რადგან მეორე ნაპირზე მტერი საბრძოლო მზადყოფნაში ელოდა. ეს ამბავი გენერალს აცნობეს ფაშებმა, მან კი სასწრაფოდ ექვსასი ქვემეხი გამოუგზავნა. როგორც კი ქვემეხები მიუტანეს, მაშინვე დაუშინეს მტერს. შეშინებულმა სპარსელებმა მცირე მანძილით დაიხიეს უკან და თურქების ჯარი მთლიანად გადავიდა [მდინარეზე]. მტერი ამას ელოდა. მაშინვე დაესხა თავს და ბრძოლამ ღამემდე გასტანა. დაიღუპა ათიათასამდე [თურქი], სამაგიეროდ განადგურდა სპარსელთა ჯარი. მოკლულთა და დატყვევებულთა სახით მათ დაახლოებით ოცი ათასი კაცი, მათ შორის მრავალი სანჯაყბეგი დაკარგეს. ისინი ჯერ თურქ გენერალს მიჰგვარეს, და შემდეგ თავები მოჰკვეთეს. იმდენად ხმლით არ გაწყვეტილან სპარსელები, რამდენადაც გაქცევის დროს, მდინარე იორ-



ზე გადასვლისას მათ ერთმანეთი გადათელეს, წყალში ჩაცვივდნენ და დახიჩქინდნენ<sup>39</sup>.

თურქების ჯარის ეს გამარჯვება რომ შეიტყვეს, ფაშები მისალოცად და ხელზე სამთხვევად ეახლნენ გენერალს. მათ მოკლული მტრის მოკვეთილი თავები მიჰქონდათ და ტყვეებსაც მიათრევდნენ, რათა ჯილდო მიეღოთ. ფაშები იმედოვნებდნენ, რომ გენერალი, ჩვეულებისამებრ, ხელფასს გაუდიდებდა. უკვე 13 ოქტომბერი იყო. თურქების ჯარმა რვა დღის განმავლობაში ვერ შეძლო მდინარე ალაზნის გადალახვა. ყველა ჩიოდა, რადგან ადამიანები და ცხენები იხოცებოდნენ. ისინი თავიანთ ფაშებს ეხვეწებოდნენ საჭირო საკვები ეშოვათ, თუ არადა უკან დაბრუნდებოდნენ<sup>40</sup>. ფაშები ურჩევდნენ გენერლისთვის მიემართათ. სიფაჰები მართლაც ასე მოიქცნენ. მაგრამ [გენერალი] განრისხდა, მოთავენი შეიპყრო და მათი გაროზგვა ბრძანა. სიტყვიერად კი შემდეგი უპასუხა: „ჩვენ აქ მოვედით შორეული ქვეყნებიდან. ახლა როცა, სულთნის ბრძანების თანახმად, შირვანი უნდა დავიპყროთ, ერთმა პატარა მდინარემ შეგვაშინა და უკან უნდა გავბრუნდეთ? ვინც კვლავ დაიჩოვლებს, ჩამოვახრჩობ“. აღმოჩნდა, რომ ბექარემი და დერვიში გენერლის მტრები იყვნენ. მათ წააქეზეს სასახლის მრავალრიცხოვანი სიფაჰი, გენერალთან მისულიყვნენ და საკვები მოეთხოვათ თავიანთთვის და ცხენებისათვის, რათა შიმშილისაგან არ დახოცილიყვნენ. ისიც უნდა მოეხსენებინათ, რომ მდინარეზე გადასვლა სიკვდილის საშიშროებით ემუქრებოდა ყველას. ყოველივე ეს სათანადო დამაჯერებლობით უნდა მოეხსენებინათ გენერლისთვის. საშინლად აღშფოთებული სიფაჰები იარაღით ხელში ეახლნენ გენერალს და განუცხადეს: თუ ნებით არ გაგვიშვებთ, თვითნებურად გავბრუნდებით არზრუმში გამოსაზამთრებლად, თან დროშას და ხაზინას წავიღებთო. გენერალმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა და სცადა ტკბილი სიტყვით დაეცხრო მათი მღელვარება: „თუ ხაზინის წართმევა გინდათ, ამით დიდ უსიამოვნებაში ჩამაყენებთ, რადგან მე მხოლოდ გამცემი ვარ [ფულისა], თქვენ კი — მიმღები. თუ დროშის წართმევა გინდათ, წაიღეთ, რადგან მე არ ვაპირებ სხვაგან მის წაღებას. მაგრამ თქვენ ჩაითვლებით თქვენი სინიორის მოღალატეებად. ამიტომ დაფიქრდით, რას აკეთებთ. მე კი დღესვე ვიშოვი სურსათ-სანოვავებს, რითაც კმაყოფილი დარჩებით“. ასეთი დაპირების შემდეგ სიფაჰები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ მოტყუებულნი დარჩნენ, რადგან გენერალმა მიცემული სიტყვა არ შეასრულა. მაშინ სიფაჰებმა სცადეს იანიჩრები მიემხროთ და ერთად მოეთხოვათ უკან დაბრუნება, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, თუ ზემონახსენებ მდინარეზე გადავიდოდნენ, დაიღუპებოდნენ და თავიანთი ოჯახების დარდი არ ასვენებდათ. მოითათბირეს და იანიჩრებს შეუთანხმდნენ, მოეკლათ გენერალი, რომელიც

დაბრკოლებას უქმნიდა. მის ადგილზე კი დერვიშ ფაშა აერჩიათ. ამის შემდეგ სიფაჰები სხვა ფაშებს ეახლნენ და თავიანთი განზრახვის შესახებ მოახსენეს. [ფაშებმა] უპასუხეს: „ჰქმენით, რაც გსურთ“. იქიდან დერვიშ ფაშასთან გაეშურნენ, რათა ეკითხათ, თანახმა იყო თუ არა [გენერლის] თანამდებობაზე. რადგან დერვიშ ფაშა გენერლის მტერი იყო. სიამოვნებით დათანხმდა. მაშინ ფაშები გენერალს ეახლნენ და განუცხადეს: „ყველანი აქ ვართ და გვსურს დაუყოვნებლივ გავბრუნდეთ უკან, არც სურსათი გვინდა და არც სხვა რაიმე. თუ არ დაგვთანხმდებით, განზრახული გვაქვს, ავირჩიოთ სხვა გენერალი, რომელიც ჩვენს სურვილს დააკმაყოფილებს“. გენერალმა უპასუხა: „მე აქ თქვენთან ერთად ვიმყოფები ჩემი სინიორის ბრძანებით, რათა დავიპყრო შირვანის სამეფო. თქვენ კი უკან დაბრუნება გწადიათ. გეკითხებით, მართო მე შევძლებ მის დაპყრობას?“ ფაშებმა ყვირილით მიუგეს: „ჩვენ უკან გაბრუნება გვინდა. თუ თქვენ თანახმა არ იქნებით, მოვიქცევით ისე, როგორც გვსურს და მოგეპყრობით ისე, როგორც იმსახურებ“. გენერალს შეეშინდა სიკვდილისა. იგი ხედავდა, რომ ფაშებიც მისი ორი ნათესავის — ოსმანისა და მეჰმედის — გარდა, ჯარისკაცებს ემხრობოდნენ. მან უპასუხა: „მე აქ ვარ. რა პატივს მიიღებთ ჩემი მოკვლით? იტყვიან მხოლოდ რომ კაცისმკვლელები ხართ. საბოლოოდ თავად დარჩებით უკმაყოფილონი და თქვენ მიერ ჩადენილი ცოდვა გაგტანჯავთ. მაგრამ რაკი გაბრუნება და სხვების ძალით წაყვანა განგზრახავთ, მე ის მამშვიდებს, რომ თავის გამართლების კანონიერი საბაზი მექნება“. სიფაჰებმა უპასუხეს: „წამოდით ერთად დავბრუნდეთ და ჩვენ დაგემოწმებით, რომ ჩვენვე ვართ ამის მიზეზი“. მაშინ გენერალმა მათი თანდასწრებით იხმო კაფუჯი-ბაშები და უბრძანა: მთელი ბანაკი მზად ყოფილიყო უკან დასაბრუნებლად და ტკბილი სიტყვებით გაისტუმრა სიფაჰები. ასევე დაითხოვა ყველა ფაშა, დაბრუნდა თავის კარავში და სიბრაზისაგან იტირა. არც კი უვანშმია, ისე დაიძინა. დაახლოებით ღამის სამ საათზე საშინლად აღშფოთებულმა გაიღვიძა და იანიჩართა და სიფაჰების აღებით თავისი მუფთი და კაფუჯი-ბაშები იხმო. ბრძანების თანახმად, მსწრაფლ ეახლნენ ისინი. [გენერალმა] მათ განუცხადა: „დოკუმენტში, რომელსაც ახლა გიჩვენებთ, წერია ჩვენი სინიორის სურვილი შირვანის დაპყრობის შესახებ. როგორ უნდა გავბრუნდეთ უკან? გადავწყვიტე, ცოცხალი ან მკვდარი გადავიდე ამ მდინარეზე და თქვენც ჩემთან ერთად იქნებით. სიფაჰების აღებს უბრძანებ გამომყვენ ყველგან, სადაც წავალ. თქვენ, იანიჩართა აღებო, აიღებთ შვიდ სომ ასპრს, რაც თორმეტი ათას ცეხინს უდრის და თქვენს ჯარისკაცებს შორის გაანაწილებთ, რათა უკან დასაბრუნებელი მაშვიები იყიდონ. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ უკან

დაბრუნება დაიჯერონ და კარგ განწყობილებაზე დადგნენ. შემდეგ აქლემებზე დაატვირთინეთ ბარგი და ხმა გაავრცელეთ, თითქოს ის მდინარეები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, აღიღდნენ. მერე ცხენებზე შევესხდეთ და სწრაფად გავემგზავროთ ისეთივე სანიმუშო წესრიგით, როგორც მოვედით. შენ, მუფთი, გიბრძანებ მუდამ ჩემს ახლოს იდგე. წაახალისო და დალოცო, ვინც მე გამომყვება. ხოლო თქვენ, ჩემო კაფიჯი-ბაში, გავალბებ, თუ მანამდე მომკლან, ვიდრე ფეხს დავადგამ შირვანის მიწას, ჩემი გვამი ტომარაში ჩადეთ და დამმარხეთ ამ მდინარის მეორე ნაპირზე, რომელიც ნაწილია შირვანისა, რათა აღსრულდეს სულთნის ბრძანება. გაფრთხილებთ, არავისთან სიტყვა არ დაგცდეთ ჩემი განზრახვის შესახებ. რომ გავიგო, რომელიმემ გამცა, ვიდრე მოვკვდები, ცოცხლად გავატყავებ და მის ტყავს თივით გავტენი. ახლა წადით და როცა გამგზავრების შესახებ გაიგებთ, მაშინვე მეახელით“. ისინი რომ დაითხოვა, თავისი ნათესალები — ოსმანი და მეჰმედი იხმო, თავისი განზრახვა გააცნო და დაავალა, საჭიროების შემთხვევაში გვერდიდან არ მოშორებოდნენ. მათ უპასუხეს: „სიამოვნებით აღვასრულებთ თქვენს ყველა სურვილს“. განთიადისას [გენერალმა] დაფდაფის ცემა ბრძანა, რათა მთელი ბანაკი აშლილიყო. მტერი ახლოს იყო და სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ყველას, ვინც ფეხს მოიცივლიდა, ვიდრე მთელი ჯარი არ მოემზადებოდა. შუადღისას ყველანი ცხენებზე ისხდნენ. მაშინ გენერალმა ფაშები იხმო და უთხრა: ჩვენ უკან ვბრუნდებით. კონსტანტინოპოლში ჩემმა სინიორმა რომ მკითხოს, რატომ არ შეასრულე ბრძანება და უფრო შორს რატომ არ წახვედიო, რა მოვახსენო? ფაშებმა უპასუხეს, უპირველეს მიზეზად წყალდიდობა დაასახელეო. რაზეც მან მიუგო: „ჩვენ არ გვინახავს და არ ვიცით, სად მდებარეობს, ან რა სიდიდისაა ეს მდინარე. ამიტომ კარგი იქნება, თუ წავალთ და ვნახავთ, მაშინ შევძლებთ თავის მართლებას“. ფაშებმა ერთხმად უპასუხეს: „სინიორ. წავიდეთ და ვნახოთ“. დაიძრნენ თუ არა, მაშინვე ამოვარდა საშინლად ძლიერი ქარი, რომელმაც ისეთი მტვერი დააყენა, ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ. მდინარის პირას რომ მივიდნენ, გენერალი მისი სიღრმით დაინტერესდა. რაკი პასუხი მოისმინა, განაცხადა: „მსურს შევამოწმო“, ცხენს ღეზი ჰკრა და მდინარის შუაგულში შეაგდო. შემდეგ შემობრუნდა და დაიძახა: „წყეულიმც იყოს ის, ვინც ღიღი სინიორის, სულთან მურადის პურიით იკვებება და მე არ გამომყვება მის სამსახურად“. მაშინ ოსმან ფაშა და მურად ფაშა თავიანთი მონებოთ. მუფთი, იანიჩართა და სიფაქთა ალები გენერალს მიჰყვნენ და მეორე ნაპირზე გადავიდნენ. სხვა ფაშებს შეეშინდათ, რომ არ გავყვეთ, დაგვხოცავენო და მდინარეში შევიდნენ ჯარის დანარჩენმა ნაწილმა. რაკი დაინახა გენერალი, ფაშე-

ბი და მეთაურები გადავიდნენ, მათ მიბაძა. როგორც ამბობენ და-  
ახლოებით ხუთი ათასი კაცი, დიდი რაოდენობით ცხენი და აქლემი  
დაიხრჩო. ზოგმა დაკარგა ყველაფერი. რაც ებადა. დაიხრჩო გენერ-  
ლის უფროსი ხაზინადარი. გენერალმა დაკარგა ძვირფასი ქვებით მო-  
ჭედილი ხმლებით სავსე ორი სკივრი, რომლებიც თან მიჰქონდა წარ-  
ჩინებული პირების დასასაჩუქრებლად. ჯარის დაახლოებით მესამედ  
მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა. ეს რომ დაინახეს, დანარჩენებს  
აღარ სურდათ გადასვლა. ამიტომ ჯარის ერთმა ნაწილმა მდინარის  
ერთ ნაპირზე გაატარა ღამე, ხოლო მეორე ნაწილმა — მეორე ნაპირ-  
ზე. ინათა თუ არა, გენერალმა ხაზინადრებს შეუთვალა, ხაზინა გადმო-  
ეტანათ და გადმოსულიყვნენ. ჯარისკაცებს კი არ უნდოდათ მათი გაშ-  
ვება, რადგან [ხაზინასთან] ერთად ფიქრობდნენ უკან დაბრუნებას.  
როცა ეს ამბავი გენერალს მოახსენეს, მან ოსმან ფაშა და მეჰმედ ფა-  
შა იხმო და უბრძანა ორი ათასი მხედრით გადასულიყვნენ მდინარეზე,  
ხაზინადრების დახმარებით საიდუმლო გაეხსნათ ხაზინის სკივრები  
ამოეღოთ ფული, ისევ დაეკეტათ და ადგილზევე დაეტოვებინათ, თან  
კი ორი ტომარა წამოეღოთ. მათვე დაევაღათ მთელი არტილერიის  
გადმოტანა. ფაშები მორჩილად გადავიდნენ მდინარის მეორე ნაპირზე,  
ჯერ არტილერია გადმოიტანეს. გარდა ოთხი თუ ხუთი ქვემეხისა,  
ხელთ იგდეს ფული და გენერალთან დაბრუნდნენ. გენერალმა ბრძანა,  
ფული მისი კარვის მახლობლად მთაზე დაემალათ, რომ მთელ ბანაკს  
დაენახა. შემდეგ გამოაცხადა: „ჩვენ აქ ვიმყოფებით ჩვენი სინიორის  
სამსახურისათვის მთელი არტილერიითა და ხაზინით. მაშ ვიმხიარუ-  
ლოთ!“ მერე მესაყვირე გაგზავნა [მეორე ნაპირზე] და შეუთვალა: თუ  
ორი დღის განმავლობაში ჯარის დარჩენილი ნაწილი არ გადმოვა და  
გენერალს არ ეახლება, სასტიკად დაისჯება. ამასობაში დარჩენილმა  
ჯარმა მიაგნო ისეთ ადგილს, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა მდინა-  
რეზე გადასვლა და გენერლის კარავთან შეჩერდა. გენერალმა ბრძანა:  
ვისაც ბარგი დაეკარგა მდინარეში და ამას მეთაურები და მოხელეები  
დაუმოწმებდნენ, ყველასთვის აენახლაურებინათ. დაზარალებულებს  
ან მუღმივი ხელფასი დაენიშნათ, ან დაკარგული აუნახლაურდათ. იქ  
სამ დღეს დარჩნენ. ამ დროს შირვანის ქვეყნიდან დიდძალი სურსა-  
თითა და საქონლით ხალხი მოვიდა და ჯარმა სული მოითქვა. სამი  
დღის შემდეგ გენერალი წავიდა ქალაქ არეშისაკენ, რომელიც ჯარის  
გამოჩენისთანავე ირგვლივ მდებარე მთელი ოლქით დანებდა, მაგრამ  
გარნიზონის ყველა ჯარისკაცი მაინც აჩხეს. ხის სიმაგრე რომ აეგო,  
გენერალი იქ ოცდამდე დღეს გაჩერდა. [ხეები] დაჭრეს სპარსეთის მე-  
ფის ულამაზეს და თვალწარმტაც ბაღში, რომელიც გაშენებული იყო  
ქალაქგარეთ<sup>1</sup>. ამის შემდეგ კავალერიის, იანიჩრების, ცხენოსან არკე-

ბუზერტა ერთი ნაწილის და მკირეოდენი მსუბუქი ქვემეხების თანხლებით (თითოეული ქვემეხი მიჰქონდა ექვს ცხენს) გენერალი შირვანის სამეფოს დედაქალაქ შემახიისაკენ გაეშურა. ქალაქიც და ქვეყანაც მაშინვე დანებდა. [შირვანის] მეფის მეციხოვნეები სპარსელები იყვნენ, რომლებსაც გენერალმა თავები დააყრევინა. მან დაიპყრო ზემოხსენებული ქალაქი მთელ ქვეყანასთან ერთად და ყველგან დიდი რაზმები ჩააყენა.

ამ დროს [ყირიმელ] თათართა მეფის ძმა აბდულ გირეი თათართა დიდი კავალერიით წამოვიდა თურქების დასახმარებლად. ის მოდიოდა თავისი ძმის, თათართა მეფის სახელით, რომელიც სულთნის მოკავშირე იყო. სასახლიდან წამოსვლისთანავე ორასი მხედარი გაგზავნა და თურქ გენერალს შეატყობინა, თუ რა დროს იქნებოდა შირვანში მის (ჯართან) შესაერთებლად და სთხოვა, დალოდებოდა, ვიდრე არ მივიდოდნენ. მისი მხედრები ვერ გადალახვეს მალალ და ხიფათით აღსავსე მთებს, ამიტომ უნდა გაიარონ დარუბანდი, ანუ რკინის ჭიშკარი. მხოლოდ დარუბანდის გავლით შეუძლია ჩერქეზეთიდან, რუსეთიდან და მოსკოვიდან წამსვლელს სათათრეთში გადასვლა. ზემოხსენებულ ქალაქს, რომელიც ალექსანდრე დიდმა ააგო, ოცდათორმეტი ჭიშკარი აქვს, ე. ი. თექვსმეტ-თექვსმეტი ორივე მხარეს. ქალაქი დასახლებულია სომხებითა და ჩერქეზებით, მაგრამ მას სპარსელები იცავენ<sup>42</sup>. ზემოთ ნახსენები ორასი მხედარი დარუბანდთან იდგა და იქ გავლა სურდა, მაგრამ რომ გაიგეს, თურქი გენერალი თავისი ჯარით ახლოს იმყოფებო, მოულოდნელად თავს დაესხნენ დაცვას და ყველა ამოწყვიტეს. ქალაქი დაიკავეს და თურქ გენერალს ამის შესახებ აცნობეს<sup>43</sup>. გენერალმა ჯერ იანიჩართა და სიფაჰთა ერთი ნაწილი. შემდეგ არტილერია და ამუნიცია გაგზავნა და ქალაქის დაცვა დაავალა. ამის შემდეგ შამახიიდან არეში დაბრუნდა. სწორედ აქ იყო დაბანაკებული მთელი ჯარი. გენერლის დაბრუნებისთანავე მრავალმა ქალაქმა და ციხემ მორჩილება გამოაცხადა და ელჩებიც გაუგზავნა მდიდრული საჩუქრებით.

არეში მისვლისთანავე გენერალმა ფაშები იხმო და თათბირი გამართა, ვინ უნდა ყოფილიყო [შირვანის] სამეფოს გენერალი და ნაცვალი. ფაშებმა განაცხადეს, რომ ეს სამეფო ძლიერ შორსაა კონსტანტინოპოლიდან და უარს ვამბობთ შირვანის ნაცვლობაზეო. მხოლოდ ოსმან ფაშამ გამოთქვა დარჩენის სურვილი. მაშინ გენერალმა შირვანის სამეფოს ნაცვლად, გენერლად და ვეზირად დანიშნა ოსმან ფაშა და ისეთივე სრული უფლებები მიანიჭა, როგორიც თავად ჰქონდა სულთნისაგან მინიჭებული. წასვლისას დაუტოვა ათი ათასი მხედარი, ორი ათასი არკებუზერი იანიჩარი, ასი ჩაუში, მრავალი ქვემეხი და

ამუნციია, ოცი სომი ასპრი, ექვსასი აქლემი, ასი აქლემის აღაზმულ-  
ლობა. დაახლოებით ასი ათასი სტაიო ხორბალი და ბრინჯი, სპარსეთის  
მეფის კუთვნილი აბრეშუმით სავსე საწყობი, რათა გაეყიდა და გამო-  
ეყენებინა ჯარისკაცთა ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე გამოეყენე-  
ბინა ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა<sup>44</sup>. [გენერალმა] ყველა სიმაგ-  
რეში სანჯაყ-ბეგები და არტილერია ჩააყენა. ქალაქ არეშის მახლობ-  
ლად აგებულ ახალ ციხეში არზრუმელი ბეჰრემ ფაშა დატოვა თავისი  
ჯარით. მაგრამ ბეჰრემ ფაშას შეეშინდა, უარი განაცხადა დარჩენაზე.  
მაშინ გენერალმა ბეჰრემს ფაშის წოდება ჩამოართვა და თავის მოკვე-  
თა დაუპირა. მის ადგილას დანიშნა თავისი მოხელე კაიტას ბეგი, რო-  
მელიც ალექსანდრე მეფესთან<sup>45</sup> ელჩად იყო გაგზავნილი. კაიტას ბეგი  
არზრუმის ჯარით იქ დატოვა. ყველაფერი ეს 6 ნოემბერს მოხდა.  
გენერალი რამდენიმე დღე აპირებდა დარჩენას, მაგრამ შიშობდა,  
ვაითუ თათრები მოვიდნენ და თქვან [გენერალმა] ჩვენი დახმარებით  
დაიპყრო მთელი [შირვანის] სამეფო. მას კი სურდა მხოლოდ თვითონ  
ეტარებინა [პირველობის] პაღმა. ამიტომ მალევე გაბრუნდა ჯარით  
არზრუმში გამოსაზამთრებლად. არეშიდან წასვლის შემდეგ სამ დღეში  
მივიდა შაქში, რომელიც ზემოხსენებულმა მეფე ალექსანდრემ დაიპყ-  
რო. მან მაშინვე მოიკითხა [ალექსანდრე], მაგრამ მოახსენეს, თავის  
სამეფოში, ქალაქ ზაგემში<sup>46</sup> დაბრუნდაო. სამაგიეროდ იქ დახვდა  
ალექსანდრეს ერთ-ერთი ვაჟი, სახელად იმრეზე<sup>47</sup>. იგი ხელზე სამ-  
თხვევად ეახლა გენერალს, რომელმაც ამ ქალაქის სანჯაყ-ბეგობა უბო-  
ძა და წელიწადში ათი ათასი ცეხინი დაუნიშნა ჯამაგირად. ის მხარე  
დარბეული იყო, არაფერი მოიძიებოდა და ჯარი სურსათის ნაკლებო-  
ბას განიცდიდა. ამიტომ გენერალმა ალექსანდრეს სამეფოში რამდე-  
ნიმე ჩაუში გაგზავნა და ჯარისათვის სურსათ-სანოვავის მომარაგება  
დაავალა.

იქ დაბრუნებამდე ოსმან ფაშამ შეატყობინა: არზრუმის მთელი  
ჯარი გაიქცა და როგორ მოვიქცეო. გაიგო თუ არა ეს გენერალმა,  
რამდენიმე მათგანის შეპყრობა და დასჯა, ხოლო სხვების უკან დაბ-  
რუნება ბრძანა, მაგრამ ყველანი გაქცეულიყვნენ. ჯარმა გზა გააგრძე-  
ლა და მიადგა მდინარე ალაზანს, სადაც მეორე ნაპირზე გადასაყვანად  
მრავალი ნაღვი დახვდა. [გენერალმა] ნაღვებზე გადადებინა ხიდი, მთელი  
ჯარი გადაიყვანა და ორ დღეს დაასვენა. ამ დროს ხელზე სამთხვევად  
გენერალს შირვანის მახლობელი მთების მეფე შამხალი<sup>48</sup> ეახლა ოთხა-  
სი მხედრით. რადგან შამხალი მაჰმადიანური სარწმუნოებისა იყო, გე-  
ნერალმა საზეიმო მიღება მოუწყო მას, მრავალი საჩუქარი უბოძა და  
სთხოვა, შირვანის გენერლის ოსმან ფაშას ხელქვეით ყოფილიყო. [ოს-  
მან ფაშას] მცირე ჯარი ჰყავდა, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ შამხალი

თავის ოთხ ან ხუთ ათას [მებრძოლს] გაუგზავნიდა. ამით ყველას და თვით სულთანსაც ასიამოვნებდა. გენერალმა (მას გაგონილი ჰქონდა, რომ ამ მეფეს ერთი ქალიშვილი ჰყავდა) სთხოვა ზემოხსენებული ვეზირის, ოსმან ფაშასთვის ცოლად მიეცა თავისი ასული. რის გამოც [გენერალი] სამუდამოდ მისი მადლობელი იქნებოდა და კონსტანტინოპოლში დაბრუნებისთანავე თავის სინიორს მოახსენებდა, ყურადღება გამოეჩინა მის მიმართ. მეფემ უპასუხა: „მე თქვენი სურვილით ვიმყოფები აქ და ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანებთ. მოიღეთ მოწყალება და გამომიყავით ადგილი, სადაც ვიცხოვრებ სულთნის სამსახურში და ჩემს კარსაც შევიწინაბავ“.. გენერალმა დაუყოვნებლივ გადასცა ქალაქი შაბრანი<sup>49</sup> მთელი ოლქითურთ, რომელიც შემოსავლად ოცდაათ ცეხინს მისცემდა. გენერალმა შამხალს გადასცა აგრეთვე დროშა, წერილი და ოსმან ფაშასთან<sup>50</sup> გაგზავნა. ამ მეფის წასვლის მეორე დღეს გენერალი მთელი ჯარით თბილისისაკენ გაეშურა. მან ზემოთ ნახსენები მეფე ალექსანდრეს ქვეყანაში გაიარა. ხარბმა ჯარისკაცებმა, გენერლის უნებართვოდ ხელთ იგდეს მონები, პირუტყვი და გადაწვეს ასამდე სოფელი. გენერალმა ამის შესახებ რომ გაიგო, ბრძანა მთავარი დამნაშავენი მოეძებნათ და ჩამოეხრჩოთ. მეფე [ალექსანდრემ] გენერალს მისწერა, ნუ შეაწუხებდა ეს ამბავი, რადგან ომს თან სდევს ყოველივე ეს და შემდგომში კვლავ აღსდგება გადამწვარი სოფლები. გენერალმა უპასუხა, რომ მას არავისთვის მიუტია ამის ნება. მრავალი საჩუქარი გაუგზავნა მეფეს. აგრეთვე მის ცოლსა და შვილებს — ვაჟებსა და ქალებს.

ჯარმა გააგრძელა გზა და 26 ნოემბერს თბილისში მივიდა<sup>51</sup>. იქ ოთხი დღე დაისვენა. გენერალმა სურსათი მოიმარაგა, დატოვა ჯარისკაცები მის დასაცავად და თბილისიდან ორი დღის სავალით დაშორებული გორის ციხისაკენ გაეშურა. გორში მისვლისას, სანჯაყ-ბეგმა შესჩივლა, რომ თბილისის ყოფილი პატრონის ნათესავი სვიმონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დატყვევებული იყო სპარსეთში, გაათავისუფლეს, ამჟამად ირგვლივ მდებარე მთებში იმყოფება და უსიამოვნებას აყენებს თურქებსა და მათს მოკავშირეებს. ამიტომ საჭიროა, გენერალმა ზომები მიიღოს. სვიმონი რომ დაეტყვევებინა [გენერალი] იქ სამი დღე დარჩა. მან მაშინვე გაგზავნა მრავალი მხედარი სვიმონის მოსაძებნად, მაგრამ, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერავინ იპოვა<sup>52</sup>. გენერალი მიხვდა, რომ ამაოდ ეძებდა სვიმონს და ჯარით არზრუმისაკენ გაეშურა. მაგრამ მაღალი მთები და მდინარე მტკვარი (ათი დღის განმავლობაში მიდიოდნენ მის გასწვრივ და ორ-ორსაც კი უჭირდა სიარული) დაბრკოლებას უქმნიდა და უჭირდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. ზემოხსენებული სვიმონი ზურგიდან ხში-

რად ესხმოდა ჯარს და ხუთი ათასზე მეტი თურქი მოკლა, მოიტაცა არკებუზებით, ფულით, სურსათითა და სხვა ბარგით დატვირთული მრავალი აქლემი. გენერალი ვერ ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას, რადგან ხელს უშლიდა ვიწრო ხეობისა და ორი არშინი სიმაღლის თოვლი. ამიტომ იძულებული იყო, მოთმინებით აეტანა ყველაფერი. როგორც იქნა, ჯარმა გაიარა ეს ხეობა და მივიდა ქალაქ ოძრხეში, სადაც ზემოხსენებული მანუჩარი იმყოფებოდა. გენერალს ხელში სამთხვევად ეახლა მანუჩარის დედა ორი ვაჟის თანხლებით, გენერალმა უაღრესად გულთბილად მიიღო ისინი, მრავალი ძვირფასი საჩუქარი უბოძა და გაისტუმრა. მეორე დღეს გენერალი არზუმს გაეშურა და იქ 21 დეკემბერს მივიდა. მაშინვე ყველა ფაშა ჯარებითურთ გამოსაზამთრებლად გაუშვა თავთავის საგამგებლოში<sup>53</sup>, სადაც გენერლის ახალ განკარგულებას უნდა დალოდებოდნენ. თავისთან დატოვა ყველა სიფაჰი და იანიჩარი, რომლებიც ირგვლივ მდებარე სოფლებში, ციხეებსა და ქალაქებში განლაგდნენ. არზრუმში იმყოფებოდა აგრეთვე ანატოლიის ფაშა თავისი ორმოცდათექვსმეტი სანჯაყ-ბეგით და ოცდაათიათასიანი ცხენოსანი ჯარით; დამასკოს ფაშა ათი ათასი მხედრით, რომელთა ნახევარი არკებუზური მხედარი იყო. სულთანმა ისინი შირვანში გაგზავნა გენერლის დასახმარებლად. რადგან [სულთანს] დიდი ხნის მანძილზე არავითარი ცნობა რომ არ ჰქონდა მათ შესახებ. მტრის მიერ გარშემორტყმული ეგონა. სხვებთან ერთად გენერალმა ფაშობი და ჩაუში გაგზავნა კონსტანტინოპოლში, რათა სულთნისთვის ეცნობებინა ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა.

დაახლოებით 15 იანვარს გენერალს ეახლნენ ოსმან ფაშას კაფუჯიბაში და ჩაუში. ოსმან ფაშა იტყობინებოდა: სპარსეთის მეფემ გაიგორა მისი ჯარის წასვლის შესახებ, ცოლი — დედოფალი და უფროსი ვაჟი გაგზავნა ორმოცდაათიათასიანი მხედრობით; მდინარე ალაზანს რომ მიადწიეს, დედოფალს ვაჟიშვილთან და თანმხლებ ქალებთან ერთად შეეშინდა [ალაზანზე] გადასვლა, თავისი მრჩეველი, გენერალი ემირ-ხანი ნახევარი ჯარით გაგზავნა შირვანზე თავდასასხმელად და ხელახლა დასაპყრობად. ემირ-ხანი მიადგა არეშის ციხეს, რომელსაც ჰეიდარ ფაშა იცავდა ორი ათასი მხედრით. ვიდრე [სპარსელები] ციხეს მიადწივდნენ, წინასწარ ტყეში მოაწყვეს საფარი, შემდეგ ორასი მხედარი გაგზავნეს დასაზვერად. ჰეიდარ ფაშამ ისინი ყაჩაღებად ჩათვალა და მთელი ჯარით გამოვიდა თავდასასხმელად. მაგრამ ტყის საფარიდან გამოვიდნენ [სპარსელები], მთლიანად ალყაში მოაქციეს იგი თავისი ჯარით და აჩეხეს. ამის შემდეგ სპარსელებმა დაიკავეს სიმაგრე და აღნიშნული ქალაქი არეში; ქალაქი გადაწვეს, შიგ არსებული არტილერია კი მდინარეში ჩაყარეს. როცა ოსმან ფაშამ მტრის შემოსევის



შესახებ გაიგო, მაშინვე ზემოხსენებული სიმაგრის დასახმარებლად გაეშურა, მაგრამ გზაზე [არეშიდან] გამოქცეულები შემოხვდნენ და აცნობეს, რომ ქალაქი უკვე მტრის მიერ იყო დაკავებული. ოსმან ფაშა თავის ბანაკში გამობრუნდა. მან განამტკიცა დაცვა, ციხეებში ჩაყენებულ სანჯაყ-ბეგებს აცნობა მომხდარი ამბის შესახებ და ბრძოლისაკენ მოუწოდა. სპარსელები დედოფალთან გაეშურნენ მოპოვებული გამარჯვების მისალოცად. მან მადლობა გადაუხადა თავის გენერალს და დიდი ჯარით გაისტუმრა შამახის დასაპყრობად. შამახიას ზემოხსენებული ოსმან ფაშა იცავდა. მტრის მოახლოებისთანავე ფაშა ყველა იანიჩრით, არტილერიითა და მხედრობით [ქალაქის] გარეთ გამოვიდა და სამი დღის განმავლობაში განუწყვეტელი შეტაკებები მიმდინარეობდა. ფაშა მიხვდა, რომ [სპარსელებს] ვერ გაუმკლავდებოდა. დაბრუნდა ქალაქში, და, რადგან მას მტკიცე გარეკედელი არ ჰქონდა, თავდაცვის მიზნით ირგვლივ არხი შემოავლო და წესრიგში მოიყვანა არტილერია, რათა მტერს არ დაეზიანებინა იგი. [სპარსელები] ალყით ფიქრობდნენ ქალაქის დაპყრობას, ამიტომ კარავები დადგეს [ქალაქის] ირგვლივ. გენერალი ხედავდა, რომ მთელი ჯარის იქ ყოფნა არ იყო საჭირო, ამიტომ არეშ-ხანი დატოვა ოცდახუთი ათასი მხედრით, თვითონ კი, ამოდ რომ არ მოცდენილიყო, დედოფალს ეახლა მოსათათბირებლად, თუ საით წასულიყო.

არეშ-ხანს ალყაში ჰყავდა მოქცეული [შამახია]. ამ დროს მოულოდნელად მოვიდა თათართა მეფის ძმა აბდულ გირეი ოცი თუ ოცდახუთი ათასი მხედრით, რომლებიც თორმეტ ესკადრონად იყვნენ გაყოფილნი. წინა დღეს [ქალაქიდან] გამოსულმა ოსმან ფაშამ და აბდულ გირეიმ შუაში მოიქციეს სპარსელები, თავს დაესხნენ სპარსელთა ბანაკს და აჩეხეს. მათ ცოლშვილიანად დაატყვევეს არეშ-ხანი. სპარსელების წესის თანახმად, ქმარს ყველგან თან მისდევს ცოლ-შვილი. განსაკუთრებით დიდებულები იქცევიან ასე. ტყვეები ოსმან ფაშას გადასცეს. მან ჯერ არეშ-ხანის შვილებს დააყრევინა თავები, შემდეგ — ცოლს და ბოლოს თვითონ მას<sup>54</sup>. ამ გამარჯვების შემდეგ [ოსმან ფაშა] არეშის სიმაგრეს მიაღგა. ხელახლა დაიპყრო იგი და ჯართა და არტილერიით გაამაგრა. შემდეგ მდინარე ალაზანზე გადავიდა და სპარსეთის დედოფლისა და მისი შვილების წინააღმდეგ გალაშქრობას აპირებდა. მაგრამ [დედოფალს] შეეშინდა, ვაითუ მტერი მრავალრიცხოვანი იყოსო და სპარსეთის სამეფოსაკენ გაიქცა. თათრები განზრახვას მიუხედნენ დედოფალს, დაედევნენ და დაიპყრეს ქალაქი განჯა, სადაც დედოფალი ჯართან ერთად იმყოფებოდა. მათ ხელთ იგდეს დიდძალი ძვირფასეულობა, ფული, აბრეშუმის ხალიჩები და სხვა მრავალი განძეულობა. ყველაფერი ეს ცხენებზე დატვირთეს. აბდულ გი-

რეიმ იქ დიდი რაზმი დატოვა, დანარჩენით ქალაქ ყარაბახისაკენ გა-  
ეშურა. გაძარცვა და გადაბუგა, მოსახლეობა მონებად აქცია და თავის  
ქვეყანაში გაბრუნდა. განჯაში გავლისას სახლები გადაწვა, თავისიანე-  
ბი წაიყვანა, წაიღო ნადავლი და გზა განაგრძო. თავისიანებს უბრძანა  
წინ ევლოთ მონებთან და ნადავლთან ერთად, თვითონ კი ორი ათასი  
მხედრით უკან მისდევდა. აბდულ გირეის ეგონა, მტერი მთლიანად  
იყო გაქცეული, ამიტომ უშიშრად მიდიოდა და ღამეს მდელიოზე ატა-  
რებდა დაცვის გარეშე. სპარსელთა გენერალმა ემირ-ხანმა ეს რომ შე-  
იტყო, მობრუნდა უკან და, როცა [აბდულ გირეი] ველზე ისვენებდა,  
ხოლო მისი ცხენები ძოვდნენ, განთიადისას თავს დაესხა ყველა ამო-  
წყვიტა. მხოლოდ აბდულ გირეი შეიპყრო ცოცხლად, სპარსეთში წაი-  
ყვანა და მეფეს მიჰგვარა ყაზვინში<sup>55</sup>. ამის შემდეგ სპარსელთა ჯარი  
შირვანში დაბრუნდა ოსმან ფაშას შესაპყრობად. ოსმან ფაშამ სპარ-  
სთა მოახლოება რომ შეიტყო, რაკი დახმარებას არსაიდან არ ელოდა,  
ყველა ციხე-სიმაგრის სანჯაყ-ბეგს უბრძანა ყველაფერი მიიტოვებინათ  
და მასთან ერთად დაეხიათ უკან. სპარსელები დაეუფლნენ ქალაქებს,  
ციხეებს და მიწებს, დანიშნეს თავიანთი გუბერნატორები და კაპიტნე-  
ბი, ხოლო შირვანის მთავარ ქალაქ შამახიაში დასვეს კაპიტან-გინერა-  
ლი, ე. ი. მეფისნაცვალის თორმეტი ათასი კაცით. ჯარის დანარჩენი ნა-  
წილი სპარსეთში დაბრუნდა. მომხდარი ამბის შემდეგ ოსმან ფაშამ  
ზემოხსენებული მთიელი მეფის<sup>56</sup>, საკუთარი სიმამრის დახმარებით,  
თავთავის ადგილას დააბრუნა სანჯაყ-ბეგები. ასე რომ, თურქებს და  
სპარსელებს შენაცვლებით ეპყრათ ქალაქები და სიმაგრეები და ყო-  
ველდღე ებრძოდნენ ერთმანეთს. ვიდრე ეს ამბები ხდებოდა. თურქმა  
გენერალმა მუსტაფამ კონსტანტინოპოლიდან სულთნის ბრძანება მი-  
იღო, გაზაფხულისათვის თურქები ყარსის აღსადგენად უნდა მომზადე-  
ბულიყენენ. ქალაქი ოდესღაც ქრისტიანებს ეკუთვნოდათ. მასში დღე-  
საც დგას სამოცამდე ეკლესია. იგი დიდი, მაგრამ დანგრეული [ქალა-  
ქია]. ბრძანების მიღებისთანავე გენერალი მზადებას შეუდგა<sup>57</sup>. იმავ-  
დროულად. გენერალმა ფაშის წერილი მიიღო თბილისიდან, იგი იტყო-  
ბინებოდა, რომ ყარა-ხანმა, შაჰის სარდალმა, ორმოცი ათასი კაცით<sup>58</sup>  
აღყა შემოარტყა [თბილისს]. [ფაშა] დახმარებას ითხოვდა, რადგან  
სურსათი არ ჰქონდათ და ჯარი შიმშილისაგან იხოცებოდა<sup>59</sup>. ასეთივე  
მდგომარეობაში იყო სვიმონის მიერ აღყაშემორტყმული გორის ციხე.  
გენერალმა სასწრაფოდ გაგზავნა ორი ათასი მხედარი სურსათ-სანო-  
ვავით. ჯარი არზრუმიდან გაეშურა აღნიშნული ადგილების დასახმა-  
რებლად, მაგრამ დიდი თოვლის გამო იქამდე ვერ მიადგა. ამიტომ გე-  
ნერალმა ფაშას მისწერა, როგორმე გამაგრებულიყენენ და პირველსა-  
ვე ხელსაყრელ შემთხვევაში დაეხმარებოდნენ. ამასობაში შიმშილის

გამო დანებდა გორი. ზემოხსენებულმა სიმონმა ყველა ამოწყვეტა, გარ-  
 ყა ციხისთავისა, რომელიც ჩაუშვიით მორთო, შესვა უყურო, უკუდო  
 ჯორზე და გენერალთან გაუშვა, რათა მომხდარი ამბავი წაეღო. [სვი-  
 მონმა] მიწასთან გაასწორა [ციხე] და ყარა-ხანის დასახმარებლად გა-  
 ეშურა. იქ მან მთელი ივნისი დაჰყო. ჯართან ერთად არზრუმში გამო-  
 ზამთრების პერიოდში გენერალთან თათართა მეფის ძმის ერთ-ერთი  
 მსახური მივიდა და აცნობა, რომ აბდულ გირეი სპარსელთა ტყვეობა-  
 ში იმყოფებოდა. შაჰს იგი თბილად მიუღია და თურმე ნადირობისას  
 მუდამ თან დაჰყავდა და ართობდა. მაგრამ თან მცველები მიუჩინა,  
 რომ არ გაქცეულიყო. დედოფალს, შაჰის ცოლს და აბდულ გირეის  
 ერთმანეთი შეუყვარდათ. ისინი შეთანხმდნენ, მოეწამლათ შაჰი ვაჟი-  
 თურთ და [აბდულ-გირეი] აეყვანათ სპარსეთის მეფის ტახტზე. დე-  
 დოფლის ერთ-ერთმა სეფექალმა ყოველივე ეს მეფეს მოახსენა. როცა  
 [მეფე] ამბის ჭეშმარიტებაში დარწმუნდა, ცოლისა და თათარ აბდულ  
 გირეის მოკვლა ბრძანა ყველა მის მსახურთან ერთად<sup>60</sup>. მხოლოდ რამ-  
 დენიმე მათგანმა უშველა თავს და გენერალს დაწვრილებით მოახსე-  
 ნა. ყველაფერი ეს გენერალმა სულთანს მისწერა კონსტანტინოპოლ-  
 ში და სთხოვა ჩაეგონებინა თათართა მეფისათვის, რომ ის თავად წა-  
 სულიყო ჯარით ჯერ შირვანში, ოსმან ფაშას დასახმარებლად, ხოლო  
 შემდეგ კი სპარსეთში ძმის მკვლელ მეფეზე შურის საძიებლად. ის წე-  
 რილი რომ მიიღო. სულთანმა მაშინვე გაგზავნა სანჯაყ-ბეგი თათართა  
 მეფესთან ორი ათასი იანიჩრით, ოთხმოცი საველე ქვემეხით, ორმოც-  
 დაათი ათასი ცეხინით, მრავალი მოსევალებული ხმლით, ტანსაცმლით  
 და სხვა ძვირფასი საჩუქრით. მასვე გაატანა წერილი, რომელშიც [მე-  
 ფეს] მოუწოდებდა გაემზადებინა ჯარი და პირადად წასულიყო ექსპე-  
 დიციაში<sup>61</sup>. თათართა მეფემ შეჰფიცა, რომ მიღებული ბრძანების შე-  
 სასრულებლად ყველაფერს იღონებდა.

ამასობაში, 1579 წლის პირველ ივლისს, გენერალი მთელი ჯარით  
 წავიდა არზრუმიდან. მან მარაშის ფაშა მუსტაფას უბრძანა ოცი ათასი  
 მხედრით და ათას ხუთასი იანიჩრით თბილისის დასახმარებლად წასუ-  
 ლიყო. მუსტაფა ფაშა მაშინვე გაეშურა და მეთხოთმეტე დღეს მიად-  
 წია რა [თბილისს] მტრის კარვების ერთი ნაწილი იხილა. როგორც კი  
 მტერმა მისი მოსვლის შესახებ შეიტყო, გაიქცა. იმავე თვის სამ რიცხ-  
 ვში გენერალი ჰასან ყალადან<sup>62</sup> გავიდა და ათ ივლისს ყარსს მიადწია.  
 აქ დაბანაკდა ჯართან ერთად და ქალაქის აღდგენას შეუდგა. ყარსის  
 შუაგულში ააგო პატარა ციხე და ქალაქის ირგვლივ ოცი მილის მან-  
 ძილზე მდებარე სამ მთაზე თითო ციხის აგება ბრძანა. ციხეებში ღი-  
 დი რაზმები ჩააყენა და შვიდ-შვიდი ქვემეხი დადგა. ვიდრე სულთნის  
 ჯარი ზემოხსენებულ ქალაქში იმყოფებოდა, გენერალთან თბილისის

ფაშის მიერ გამოგზავნილი ჩაუში მივიდა და წერილი მიუტანა, თბილისის ფაშა იტყობინებოდა, რომ სიმაგრეში მყოფ ჯარს აღარ ძალუქდა იქ ღარჩენა. თუმცა ყველა გარბის, მაგრამ საკვებზე ზრუნვა მაინც საჭიროა. თბილისისათვის არჩეულ ახალ ფაშას, რომელიც ორი ათასიანიჩართან და სხვა მრავალთან ერთად, სურსათითა და ორმოცდაათი ათასი ცეხინით მიდიოდა, გენერალმა დამასკოს ფაშა ჰასანი გააყოლა ოცდაათი ათასი კაცით. მგზავრობისას ქართველების თავდასხმებისაგან გაწამებულებმა ძლივს მიაღწიეს თბილისს. დატოვეს ჯარის ნაწილი ქალაქის დასაცავად, ხოლო დანარჩენი ზემოხსენებულ [დამასკოს] ფაშასთან ერთად [ყარსის] ბანაკში გაბრუნდა.

ვიდრე ჯარი ყარსთან იღვა, რამდენიმე ნაწილად დაყოფილი სიფაქები და სხვა ჯარისკაცები შორს მიდიოდნენ ხოლმე ცხენებისათვის ბალახის მოსაპოვებლად. ერთხელ ბალახის თიბვის დროს, სპარსელები დაესხნენ თავს და ყველა შეიპყრეს, სამი თუ ოთხი კაცის გარდა. ისინი გაიქცნენ და გენერალს შესჩივლეს, რომ ეს დროებითი ზავის დარღვევას ნიშნავდა. გენერალმა იხმო შაჰის ელჩი, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა და მომხდარი ამბის შესახებ მოუთხრო, რაზეც ელჩმა უპასუხა: „ასე ხდება ომის დროს“. გენერალი განრისხდა. ელჩის ყველა მსლბელი დაახოცინა, თავად ელჩი დაატუსაღა და არზრუმის ციხეში გაგზავნა. ამის შემდეგ სასწრაფოდ იხმო ყველა ფაშა და ლაშქრობისათვის მზადება ბრძანა. როგორც კი არკებუზების გასროლის ხმას გაიგონებდნენ, თავიანთი ჯარებით ცხენებზე უნდა ამხედრებულიყვნენ და გენერლის კარავთან შეკრებილიყვნენ. ფაშები ასეც მოიქცნენ. როცა დაახლოებით ოთხმოცი ათასმა მხედარმა მოიყარა თავი, გენერალმა ბრძანა, მოულოდნელად დასხმოდნენ თავს ყარსიდან ოთხი დღის სავალზე დაშორებულ ქალაქ ერევანს, დაეტყვევებინათ მეფის ნაცვალის თოქმაქი და მონებად ექციათ ქალაქის ყველა მცხოვრები, როგორც ქრისტიანები ისე სპარსელები; დაენგრიათ ქალაქი და უკან გამობრუნებულიყვნენ. ფაშები დაემორჩილნენ ბრძანებას და ერევნისაკენ ჰენებით გაქუსლეს. მესამე დღეს ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ზემოხსენებული მეფის ნაცვალის თავის მცველ ხუთი ათას მხედართან ერთად გაიქცა, მოსახლეობა კი, მშვიდობის ნიშნად, [თურქთა] ჯარს გამოეგება, მაგრამ თურქებმა ყველა აჩეხეს. ქალაქში შესვლისთანავე დაიმონეს კაცები, ქალები და ბავშვები, სახლები კი ცეცხლს მისცეს. დაწვეს მეფის ნაცვლის ულამაზესი სასახლე, რომლის შესავსი, როგორც ამბობენ, მსოფლიოში არაა. ამ დროს მეფის ნაცვალის ერთ-ერთი ბორცვიდან ადევნებდა თვალს ყველაფერს და ყვიროდა, მტერს ველურებს ეძახდა და მათზე თავდასხმისაკენ მოუწოდებდა. ლაშქრობის შემდეგ თურქები დიდი ნადავლითა და უთვალავი მონე-

ბით გენერალთან დაბრუნდნენ<sup>63</sup>. ეს ამბავი რომ შეიტყო, ძლიერ შეწუხდა სპარსეთის მეფე და გენერალს შეურაცხმყოფელი სიტყვები მისწერა სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევისა და ჩადენილი ვერაგული მოქმედების გამო. [შაჰი] დაემუქრა, რომ შურს იძიებდა ასეთი გამცემლობისა და უსამართლობისათვის. ყველაფერი ეს 1579 წლის სექტემბრის თვეში მოხდა.

იმავედროულად გენერალს თათართა მეფის მოციქულები გახლნენ და აცნობეს, რომ მათი სინიორი თავის ოთხ ძმასთან და ვაჟიშვილთან ერთად ორასი ათასი მხედრით შირვანის სამეფოში იმყოფებოდა<sup>64</sup>. თათართა ხანმა მხედრობიდან ორმოცდაათი ათასი კაცი მეფე ალექსანდრეს ქალაქ ზაგემის გასაძარცვავად გაგზავნა, რადგან, როცა სპარსელებისაგან ალყაშემორტყმულმა ოსმან ფაშამ ქართველთა მეფეს სურსათით დახმარება სთხოვა, მან უარი შეუთვალა და განაცხადა: აღარ მსურს თურქების მოკავშირედ ყოფნა, სპარსელები უკეთესნი არიანო. თათართა ხანი მდინარე ალაზანზე გადავიდა, გაძარცვა განჯა და ყარაბახი; გაიარა ერევნის მეზობელი ქვეყანა შირვანი; გაძარცვა, გადაწვა და დაანგრია ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციები. ეს რომ შეიტყო, გენერალმა თათართა ხანს საჩუქრებით დატვირთული ელჩი გაუგზავნა, მაღლობა შეუთვალა ყველაფერ იმისთვის, რაც მან სულთნის სამსახურად და თავისი ძმის შურის საძიებლად გააკეთა, თან ბოდში მოუხადა, პირადად რომ ვერ ეახლა, რადგან ეშინოდა მისი არყოფნის დროს, ჯარში რაიმე არეულობა არ მომხდარიყო; ამავე დროს ყარსის და მისგან დაახლოებით ოცდახუთი მილით დაშორებული სხვა ოთხი ციხის აღდგენას იჩქაროდა. გენერალს სურდა ეს ციხეები ყარსის მტკიცე დამცველებად ექცია. თითოეულ მათგანში უნდა ჩაეყენებინა სანჯაყ-ბეგი ორასი მხედრით, ხუთასი ქვეითით. ათი მსუბუქი ქვემეხითა და დიდძალი სურსათ-სანოვაგით. აღნიშნული ციხეების აგება ოქტომბრისათვის ჰქონდა განზრახული.

ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებით, გენერალმა არზრუმის ფაშა ოცდაათათასიანი ჯარით და დიდძალი სურსათით დატოვა, თვითონ კი მთელი ჯარით არზრუმს გაეშურა და დაახლოებით 15 ნოემბერს ჩავიდა. ისევე როგორც გასულ წელს, ახლაც, მივიდა თუ არა, ყველა ფაშა თავთავის ქვეყანაში გაუშვა გამოსაზამთრებლად. თვითონ იქვე დარჩა და ჩაუში გაგზავნა კონსტანტინოპოლში, რათა თავის სინიორისათვის ყოველივე ეცნობებინა. იმავე წელს კონსტანტინოპოლში დიდი ვეზირი მეჰმედ ფაშა მიიცივალა. მის მაგივრად მეორე ვეზირი, აჰმედ ფაშა იქნა არჩეული. აჰმედ ფაშა სუსტი მმართველი აღმოჩნდა, ამიტომ საჩივრებით მიდიოდნენ სულთანთან — დიდვეზირის შეცვლას და ახალი მმართველის დანიშვნას მოითხოვდნენ. [სულთანმა] მოისურ-

ვა მუსტაფა ფაშასთვის მიენდო ეს ტვირთი. ეს რომ აჰმედ ფაშამ შეიტყო, გადაწყვიტა აუცილებელი ზომები მიეღო, რათა ხელიდან არ გამოეცლოდა ეს თანამდებობა. იგი მუსტაფას მტერს, სინან ფაშას მოეთათბირა მიეღო სათანადო ზომები, რომ სულთანს [მუსტაფასათვის] ჩამოერთმია გენერლობა, დაეპატიმრებინა და სიკვდილით დაესაჯა. გადაწყვიტეს მდაბიონი მოეძებნათ და ეცდუნებინათ ისინი. მათ, ვითარცა ჯარისკაცებს, სახალხოდ უნდა ეყვირათ, რომ მუსტაფას ტირანიის ქვეშ იმყოფებოდნენ და ყველაფერში ბრალი მას მიუძღოდა. ამ გზით აჰმედ ფაშა იმედოვნებდა, რომ მუსტაფას არ დააწინაურებდნენ და მის ადგილას, ჯარის მეთაურად სინანს დანიშნავდნენ, ხოლო მუსტაფას დააპატიმრებდნენ და ჩაამწყვდევდნენ არზრუმის პროვინციის ერთ-ერთ ციხეში, რომელიც ქალაქიდან ექვსი დღის სავალზე იმყოფებოდა. დიდგვზირმა აჰმედ ფაშამ ჩაუშის ხელით წერილი გაუგზავნა მუსტაფას და, როცა გენერალმა ბრძანება მიიღო, ცოფიანი ძაღლივით აყმუვლდა. მან მსწრაფლ გაგზავნა ერთი თავისი მსახური სულთანთან და საიდუმლო წერილი აახლა. მის სამსახურში გაწეული ხიფათიანი ცხოვრების ჯილდოდ სულთანს თხოვდა მექაში წასვლის ნება დაერთო ღეთისა და მისი მოციქულის თაყვანის საიკემად. ამ ასაკში პატიმრობა კი დიდ სირცხვილად მიაჩნდა. ასეთივე შინაარსის წერილი მისწერა სულთნის დედას, თავის მფარველს, რომელიც ადრე მისი დობილი იყო. მისი ქმარი სელიმ-სულთანი მუსტაფა ფაშას აღზრდილი იყო. როცა სულთანმა წაიკითხა წერილი, მუსტაფას კონსტანტინოპოლში უბრძანა ჩამოსვლა, და შეუთვალა: არ დამორჩილებოდა სხვა ბრძანებას, თუ ის პირადად [სულთნის] ხელით არ იქნებოდა დაწერილი. ამგვარად, [სულთანი] მას ელოდა. ამ გვარის პასუხის მიღებისთანავე მუსტაფა ცხენზე შეჯდა და კონსტანტინოპოლისაკენ გაეშურა. თან წაიღო ჯარისკაცებისათვის წინასწარ გადასახდელი ასი ლომი, წაიყვანა აგრეთვე თავისი დავთარდარი. თოვლისა და ცუდი გზების გამო გენერალს მგზავრობა გაუჭირდა, მაინც შეუსვენებლივ იარა და აპრილის დასაწყისში კონსტანტინოპოლს მიაღწია. მაგრამ ჯერ ქალაქში შესვლის ნებართვა სთხოვა სულთანს. [სულთანმა] მაშინვე სამი გაღერა გაგზავნა სკუტარში — ერთი თვით მუსტაფას გადასაყვანად, დანარჩენი ორი — ბარჯის გადასაზიდად. მის შესახვედრად გაგზავნა ფაშები, ალები და თავისი კარისკაცები.

სულთანმა სიხარულით მიიღო მუსტაფა და, რადგან იმ დროს აჰმედ ფაშა გარდაიცვალა, მის ადგილზე გენერალი მუსტაფა დანიშნა<sup>65</sup>.

ამასობაში, 1580 წლის 8 მაისს<sup>66</sup>, სინანი ახალი გენერალი სკუტარიდან სპარსეთზე სალაშქროდ გაეშურა და [შეუსვენებლივ] იარა მანამ, ვიდრე არ მივიდა არზრუმში, სადაც ჯარის დარჩენილი ნაწილი

იმყოფებოდა. ჯარი ზარ-ზეიმით შეხვდა ახალ გენერალს. მაგრამ სი-  
ფაქებმა და იანიჩრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, რადგან [სინანი]  
მათი მტერი იყო. არზრუმში მან რამდენიმე დღე დაჰყო ჯარის დასა-  
თვალეირებლად. გამგზავრების წინ სულთანს მისწერა: ვიდრე დიდ-  
ვეზირის ტიტულს არ მივიღებ, ჯარი არ მემორჩილებოდ და სთხოვდა  
მის უდიდებულესობას, მოწყალება მოელო. სულთანმა წერილობით  
უპასუხა, რომ უკმაყოფილოდ არ დატოვებდა და სთხოვანს შეუსრუ-  
ლებდა. მიიღო თუ არა ეს წერილი სინანმა, მთელ ჯარს ამცნო: სი-  
ნიორი დამპირდა [კონსტანტინოპოლში] დაბრუნებისთანავე დიდვე-  
ზირად დაგნიშნავო და საყოველთაო მხიარულება ბრძანა. ასე გაემ-  
გზავრა არზრუმიდან და თხოუმეტ ივლისს მივიდა ყარსში, სადაც  
სპარსეთის მეფის ელჩი<sup>67</sup> დახვდა. ადრინდელი გენერლის, მუსტაფას,  
სახელზე გამოგზავნილი წერილით, ელჩი ზავს ითხოვდა. [სინანმა] ის  
მაშინვე კონსტანტინოპოლში გაისტუმრა და ჩაუში გააყოლა. თვითონ  
მტრებისგან ალყაშემორტყმული თბილისისკენ გაეშურა და გაათავი-  
სუფლა იგი. როცა მტერმა მისი მისვლის შესახებ შეიტყო, ალყა მო-  
ხსნა და გაიქცა, სინანმა ქალაქში ამუნიცია და სურსათი შეიტანა, დან-  
გრეული აღადგინა და ახალ ფაშად დანიშნა ერთ-ერთი რენეგატი ქარ-  
თველი, რომელიც ქალაქ თბილისის ადრინდელი მფლობელის მსახუ-  
რი იყო<sup>68</sup>. [თბილისთან] ახლოს შეიპყრეს ვილაცა კაცი, რომელსაც  
სპარსეთის მეფის წერილები აღმოაჩნდა. სპარსეთის მეფე იმხანად  
თავრიზში იმყოფებოდა ას ორმოცდაათი ათასი მხედრით. ერთი წე-  
რილი ზემოხსენებული მეფე ალექსანდრესადმი იყო მიწერილი. წერი-  
ლი იტყობინებოდა, რომ ალექსანდრე თავისი ჯარით წასულიყო თურ-  
ქთა ბანაკისაკენ, სადაც თავისი ჯარით თვით შაჰი მოვიდოდა, რათა  
ერთობლივ ალყაში მოექციათ [თურქები] და შური ეძიათ მიყენებუ-  
ლი შეურაცხყოფისათვის. მეორე [წერილში] თბილისის ადრინდელი  
პატრონის ვაჟს უთვლიდნენ თავისი ჯარით დაეკავებინა დარუბანდის  
ხეობის გასასვლელი, რომელიც მდინარე მტკვრის ნაპირას მდებარე-  
ობს, რათა გაქცეულ მტერს იქ ვერ გაევიდო. გენერალმა სასწრაფოდ  
გახსნა ყველა წერილი და ბანაკის აშლა ბრძანა. ეს მოხდა შუალამისას.  
გენერალმა ყარსისაკენ გაქუსლა<sup>69</sup>. უკან დატოვებულ არტილერიას  
თავს დაესხა მტერი და ხელთ იგდო ოთხმოცდაათი ქვემეხი, თუმცა  
[შემდეგში], ათი ქვემეხის გარდა, გენერალმა უკან დაიბრუნა დანაკარ-  
გი. ამის შემდეგ გზა გააგრძელა და ათ სექტემბერს მივიდა ყარსში, იქ  
დატოვა დიდი დაცვა, ამუნიცია და მთელი ჯარით გამობრუნდა არზრუმ-  
ში, საიდანაც მსწრაფლ გაეშურა კონსტანტინოპოლისაკენ.

პირველ სექტემბერს ყარსში შაჰს ზემოხსენებული ელჩი ეახლა.  
იმავე დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა მუსტაფა<sup>70</sup>. ამის გამო სულ-

თანმა ელჩის არზრუმში წასვლა და სინან ფაშასთან ზავის დადება უბრძანა. როცა [ზავის პირობებს] კონსტანტინოპოლში წარადგინდნენ, სულთანი მას დაამტკიცებდა. ელჩი არზრუმს გაემგზავრა და სინან ფაშასთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს, სპარსეთის მეფისთვის უკან დაებრუნებინათ გენერალ მუსტაფას მიერ დაპყრობილი ყველა პროვინცია, ქალაქი და ადგილი და ამით სამუდამო მშვიდობა დაემყარებინათ. ეს რომ გაიგო, სულთანი ძლიერ განარისხდა და უარი განაცხადა [ხელშეკრულების] მუხლების დამტკიცებაზე. სინან ფაშამ შეუთვალა, რომ სხვა უკეთესი პირობები არ არსებობდა ზავის დასადებად. მერე სულთნის ნებართვის გარეშე გაუშვა ჯარი და გადაწყვიტა პირადად წასულიყო კონსტანტინოპოლში, რადგან მის იქ არყოფნაში განსვენებული მუსტაფას ადგილზე სულთანს ვინმე სხვა არ დაენიშნა დიდუფიჩრად. ამან ძლიერ განარისხა სულთანი და [სინანს] შეუთვალა, რომ [კონსტანტინოპოლში] მისვლით სიცოცხლეს დაკარგავდა, რადგან სულთანს არ დაემორჩილა და მისი ნებართვის გარეშე გაუშვა ჯარი. კონსტანტინოპოლში რომ დაბრუნდა, სულთანმა აპატია შეცოდება დედისა და ცოლის შუამდგომლობით, თუმცა დიდად გაკიცხა და დაემუქრა. ვიდრე სულთანთან ხელზე სამთხვევად მივიდოდა, სინანმა უძვირფასესი და უმშვენიერესი საჩუქრები გაუგზავნა. ასეთივე საჩუქრები გაუგზავნა სულთნის დედასა და ცოლს და, რადგან სულთნის კარზე არავენ იყო სინანზე უფრო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, იგი დანიშნეს დიდუფიჩრად<sup>71</sup>.

როცა სპარსელებმა და ქართველებმა სულთნის გენერლის წასვლისა და ჯარის დაშლის შესახებ შეიტყვეს, ერთიანი დიდი ჯარით შემოარტყეს ალყა თბილისისა და ყარსის მახლობლად აგებულ ოთხ ციხეს, დაიბრუნეს შირვანის დიდი ნაწილიც.

ყველაფერი [ჩემ მიერ] აღწერილი ჰქმმარიტებაა. უზენაესს მევთხოვთ, მოიღოს მოწყალება, რათა ურწმუნოებმა ჩვენსავე დროში შეიგნონ ცოდვანი მისნი და დაუბრუნდნენ ჰქმმარიტ რწმენას და აღიარონ უწმინდესი სამება. მას შევთხოვთ შეწყვენას, შეიწყალოს და დაუმკვიდროს სასუფეველი. ამენ.



## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. იგულისხმება ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიიდან შაჰ-თამაზ I (1524—1576). ანონიმი ვენეციელი არასწორად გადმოგვცემს მისი გარდაცვალების ადგილსა და დროს.

შაჰ-თამაზი გარდაიცვალა არა 1577 წლის ივნისში, არამედ 1576 წლის 14 მაისს, არა თავრიზში, არამედ მაშინდელი სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქ (1548 წლიდან) ყაზვინში.

რაც შეეხება ანონიმის განცხადებას, რომ შაჰ-თამაზი თურქების უდიდესი მეგობარი და მომხრე იყო, ასეთი აზრი მართლაც შეიქმნა დასავლეთ ევროპაში ამასიის ზავის (1555) შემდეგ, როცა შაჰ-თამაზი ოსმალეთთან დაახლოებას ცდილობდა.

2. ჯოვანი ტომაზო მინადოის გადმოცემით „ისმაილ-მირზასადმი შაჰ-თამაზის წყრომის მიზეზი მისი უჯიათი ხასიათი და ოსმალებისადმი შეურიგებლობა იყო. იგი ვერ ურიგდებოდა ოსმალეთთან დადებულ ამასიის ზავს და ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში აწიოკებდა ოსმალეთის ტერიტორიებს“ (G. T. Minadoi, *Historia della guerra fra Turchi et Persiani, Venezia. 1588, p. 5*). ისმაილ-მირზა ოცი წლის განმავლობაში, შაჰ-თამაზის გარდაცვალებამდე, ალამუთის ციხეში იყო გამომწყვდეული.

3. ანონიმისათვის არ იყო ცნობილი ის დრამატული ამბები, რომელიც წინ უძღოდა ისმაილის ასვლას ტახტზე. შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველები და მათთან ერთად უსთაჯლუს, შეიპავანდის და თალეშის ტომები ცდილობდნენ დედით ქართველი უფლისწულის — ჰეიდარ-მირზას გამეფებას, მაგრამ დამარცხდნენ ისმაილ მირზას მომხრეებთან ბრძოლაში (დაწვრ. იხ. ე. მამისთვალისშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები. 1576—1578 წწ. ევროპული წყაროების მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № I, 1977, გვ. 107—117).

4. ისმაილ-მირზა ტახტზე ავიდა ისმაილ II-ის სახელით. ისმაილი „იყო კაცი მესისხლე და მრავალი კაცნი დაჯოცნა“ (ქართლის ცხოვ-

რება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 371). მართლაც საშინლად სისხლიანი იყო ისმაილის ყაზვინში მისვლა და გამეფება. მან, პირველ რიგში, უმცროსი ძმები დახოცა, რათა თავიდან მოეცილებინა ტახტის პრეტენდენტები. ამოხოცა ყველა ის ხანი და სულთანი, ვინც ჰეიდარ-მირზას უჭერდა მხარს (*Relaciones de don Juan de Persia, Valiadolid. 1604, p. 62 v*). დაიღუპა ჰეიდარის მომხრე მრავალი ქართველი (*W. Hinz, Schah Esmail II. Ein Baitrafe zur Geschichte der Safaviden. Berlin, 1933, S. 41*).

5. შაჰ ისმაილ II-ის სიკვდილის გარემოებანი ზუსტად არაა დადგენილი. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ვერსია. დონ ხუან დე პერსიას მიხედვით, ისმაილის „დამ (ფერიხან-ხანუმმა — ე. მ.) და სულთნებმა მისი მოკვლის გეგმა ისე სწრაფად დააწყვეს, რომ ერთ ღამეს, როცა ჰარამხანაში შევიდა, ქალის ტანსაცმელში გადაცმულმა სულთნებმა მოკლეს“ (*p. 62v-63. იხ. აგრეთვე, J. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, II B., Pest, 1834, S. 473—474*). მეორე ვერსიით, იგი ოპიუმის გადაჭარბებული გამოყენების შედეგად მოიწამლა (*E. G. Browne, A history of Persian Literature in Modern Times, 1500 — 1924, Cambridge, 1924, p. 99*). მესამე ვერსიას ანონიმი გვთავაზობს.

საინტერესოა, რომ შაჰ-ისმაილის უეცარი სიკვდილის ამბავთან. რატომღაც, ქართველები აღმოჩნდნენ დაკავშირებული. როგორც ჩანს, ისმაილის მოულოდნელ და ბურუსით მოცულ სიკვდილში მათი მონაწილეობა საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი. ამის თქმის საფუძველს, უწინარეს ყოვლისა, გვაძლევს საქართველოს წინააღმდეგ წამოსული ოსმალების ჯარის სარდლის ლალა მუსტაფა ფაშას მიერ 1578 წლის ივლისში შაჰ მოჰამედ ხუდაბანდასადმი გაგზავნილი წერილი. მასში ოსმალების მიერ ირანთან ომის დაწყების საბაბად ქართველებისაგან შაჰ-ისმაილ II-ის მოწამვლაა დასახელებული: „დიდად ბრწყინვალე ირანის შაჰო! მე აქ მოსული ვარ... რათა დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამვლაშია დამნაშავე და ამისათვის ქრისტიანი ქართველების ქვეყანა უნდა დავიპყრო. ხოლო თუ თქვენი უდიდებულესობა გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ... თქვენც შევებრძოლებით“ (*A Chronicle of the Carmelites in Persia, V. I, London, 1939, p. 16*).

ზემომოყვანილი წერილის მიხედვით იმის მტკიცება, რომ ქართველები მონაწილეობდნენ, ან დაინტერესებულნი იყვნენ ისმაილ II-ის სიკვდილში, ძნელია. მაგრამ ქართველებსა და შაჰ ისმაილის შემცველ შაჰ მოჰამედ ხუდაბანდას შორის რომ რაღაც კავშირი არსებობდა, ამა-

ზე მიგვითითებს ინგლისელი თომას ჰერბერტის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით ახლად გამეფებულ ისმაილ უმცროსი ძმები ამოუწყვეტია. ასეთივე ბედი ემუქრებოდა უფროს ძმას მოჰამედ-მირზას (შემდგომო მოჰამედ ხუდაბანდა), მაგრამ ის საქართველოში გაიქცა, შეკრიბა 12 ათასი მხედარი, ისფაჰანში დაბრუნდა და თვითონ დაიკავა ტახტი (Relation du Voyage de Perse et de Indes Thomas Herbert, Paris, 1663, p. 451).

6. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, შაჰ-ისმაილ II-მ ექვსი თვე იმეფა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371). შაჰ-თამაზ I გარდაიცვალა 1576 წლის 14 მაისს. იმავე წლის 27 აგვისტოს გამეფდა ისმაილ II (Enzyklopädie des Islam, II B., Leiden—Leipzig 1927, S. 582—583). რაც შეეხება მის გარდაცვალებას, ანონიმის თქმით, იგი მოკლეს ალამუთის „ტყვეობიდან გაათავისუფლების წელსვე, ოქტომბერში“. ჩვენი ავტორის მიერ მითითებული წელი (1576) სწორი არაა, მაგრამ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს თვე (ოქტომბერი). როგორც ცნობილია, ისმაილ II-მ ტყვეობიდან გაათავისუფლა ქართლის მეფე სვიმონ I, რომელიც, ქართული წყაროს მიხედვით, მანვე დააბრუნა სამშობლოში 1578 წლის ოქტომბერში. „იმავე ქორონიკონს (1578) მოვიდა მეფე სვიმონ ოკლონბერსა შინა და მოიყვანა არჩილ ძე ბაგრატიისა და ტყუენი ყოველნი დატყუეებულნი ქართლისანი და დადგა სომხითს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 411).

შაჰ-ისმაილ II-ის მეფობის ისტორიის მკვლევრის ვ. ჰინციის მიხედვით, ისმაილმა 1578 წლის შემოდგომაზე სვიმონი გამოისტუმრა საქართველოში (W. Hinz, Op. cit., S. 66) ვ. ჰინცი ამ შემთხვევაში ეყრდნობა მ. ბროსეს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილის ზემომოყვანილ ცნობას (M. Brosset, Collection d'Historiens, v. I, St. Petersburg, 1874, p. 555) ეს ქართული წყარო, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს. უფრო სანდო უნდა იყვეს ბერი ეგნატაშვილის თხზულების ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სვიმონ მეფე შაჰ მოჰამედ ხოდაბანდამ დააბრუნდა საქართველოში და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 372). ჯ. ტ. მინალოსის მიხედვითაც სვიმონ მეფე ისევ ირანში იმყოფებოდა, როცა მოულოდნელად გარდაიცვალა ისმაილ II. მინალოსის საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი სვიმონის განცდა, გამოწვეული ისმაილის გარდაცვალებით (იხ. ე. მამისთვალისიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117). უკანასკნელ ქართულ წყაროს კიდევ უფრო ამაგ-

რებს „კარმელიტების არქივიდან“ ამოღებული ზემოდასახელებული ლალა მუსტაფა ფაშას მიერ შაჰ ხოდაბანდასადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც 1578 წლის ივლისით თარიღდება. მაშასადამე, 1578 წლის ივლისში ისმაილ II უკვე ცოცხალი აღარ იყო. გამოდის, რომ მან იმეფა 1576 წლის მაისიდან 1578 წლის ივლისამდე. მაგრამ რა ვუყოთ შარაფხან ბიდლისის ცნობას, რომლის მიხედვით ისმაილი გარდაიცვალა სექტემბერში (Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, Шараф-наме, т. II, Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1976, с. 233. იხ. აგრეთვე, კ. ტაბატაძე, შერეფხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 159—188), ხოლო ისლამის ენციკლოპედიას თუ დავუჯერებთ,—ნოემბერში (Enzyklopädie des Islam, II, S. 583).

7. უნდა იყოს სულთან მუჰამედ-მირზა. ჰეიდარ-მირზას შესახებ იხ. შენ. 3.

8. ჯუნაიდ-მირზა ქართველ ქალთან ეყოლა შაჰ-თამაზს. იგი ახლად გამეფებულმა ისმაილმა დააბრმავებინა (Бидлиси, с. 232), ამიტომ ანონიმის ნათქვამი სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. ჯუნაიდ-მირზას მიწვევა ტახტის დასაკავებლად უაზრობა იქნებოდა.

9. ჰეიდარ-მირზას მაგიერ უნდა იყოს სულთან მუჰამედ-მირზა. რომელსაც ტახტზე ასვლის შემდეგ უწოდეს მოჰამედ ხოდაბანდა (1578—1587).

10. ბაბილონი (ქართული წყაროების მიხედვით ბაბილოვანი) — ბაბილონი, ერაყის რესპუბლიკის დედაქალაქი. ანონიმი „ბაბილონის სახელმწიფოში“ გულისხმობს ძველ ბაბილონის სახალიფოს.

11. იმამი ჰუსეინი (626—680), მუჰამედის შვილიშვილი. მან ერაყელი შიიტების დახმარებით სცადა ხელთ ეგდო ხელისუფლება, მაგრამ სოფელ ქერბალას (დღეს ქალაქი) მახლობლად დაიღუპა. შიიტები მას წამებულად და მესამე ი მამად თვლიან. მის ხსოვნას ეძღვნება სამ-გლოვიარო წესი შახსეი-ვახსეი. ჰუსეინის დაკრძალვის ადგილი ქ. ქერბალა მუსლიმან-შიიტების წმინდა ადგილია.

12. ამ შემთხვევაში ანონიმი უნდა გულისხმობდეს ოსმალების მიერ დაპყრობილ ქვეყნებს.

13. მუსტაფა ფაშა — ლალა მუსტაფა ფაშა ბოსნიელი სოკოლოვეზის გვარიდან იყო. პირადი ნიჭის წყალობით დაწინაურდა და სულთნის სასახლეში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. შემდეგ სანჯაყბეგობა მიიღო და ლალას თანამდებობაზე აიყვანეს და უფლისწული სელიმის აღზრდა მიანდევს. მუსტაფა ფაშა სხვადასხვა დროს იყო ვანის, არზრუმის, პალაპის, დამასკოს ბეგლარბეგი. მან ვეზირის წოდება მიიღო და

დაინიშნა კვიპროსის დასაპყრობად გაგზავნილი ჯარის სარდლად. ირან-ოსმალეთის მეორე ომის დასაწყისში ის იყო ოსმალეთის ჯარის სარდალი (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 98).

იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ლალა მუსტაფა ფაშა მთავარსარდლად დაინიშნა 985 წლის პატიოსანი შევალის თვეში (1577 წლის 12. XII—1578 წლის 9. I. იქვე, გვ. 36) და არა — 1577 წლის 17 იანვარს, როგორც ანონიმი წერს. მუსტაფა ფაშა გარდაიცვალა 1580 წ. ოქტომბერში.

14. სინან ფაშა — ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ლალა მუსტაფა ფაშას თანამედროვე და მოქიშპე იყო. ლალა ფაშას სიკვდილის შემდეგ დიდგვირი გახდა, მაგრამ „ჩიუტი და ჭირვეული სახელმწიფო მოღვაწე იყო“, ამიტომ რამდენჯერმე გადააყენეს და კვლავ აღადგინეს ამ თანამდებობაზე (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 37, 126—127).

15. სკუტარი — სტამბულის ერთი ნაწილის, ისკუდარის, ძველი სახელწოდება. იგი მდებარეობს ბოსფორის სრუტის აზიურ სანაპიროზე. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ლალა ფაშა სკუტარში გადასულა ჰიჯრით 986 წლის წმინდა მეჰარეში — 1578 წლის 10. III—8. IV (იქვე, გვ. 38).

16. ყარამანია — თურქმანული სახელმწიფო მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში XIII—XIV საუკუნეებში. მასში შედიოდა მიწები კონიის სამხრეთით ხმელთაშუა ზღვამდე. მისი მთავარი ქალაქი იყო ლარენდე. იგი ოსმალებმა დაიპყრეს და საფაშოდ გადააქციეს (G. Lr Strange, The lands of the Eastern Caliphate, Cambridge, 1930, p. 148).

17. სივასი — ქალაქი ცენტრალურ თურქეთში. XIV საუკუნიდან შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.

18. ბაჰრამ ფაშა 1571—1572 წლებში განაგებდა სახელმწიფო დაეთარს. სხვადასხვა დროს იყო სივასის, არზრუმის, დიარბექირის ბეგლარბეგი. 987 (1579—1580) წელს გაგზავნილი იქნა თბილისში, სადაც გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ ანონიმი და იბრაჰიმ ფეჩევი ბაჰრამ ფაშას ოსმალების საქართველოში შემოჭრის წინ არზრუმის ბეგლარბეგად ასახელებენ, მაშინ როცა სხვა წყარო მას დიარბექირის ბეგლარბეგად გვაცნობს (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 114).

19. იბრაჰიმ ფეჩევიც აღნიშნავს იმ უთანხმოების შესახებ, რაც ლალა მუსტაფა ფაშასა და სინან ფაშას შორის ჩამოვარდა ამ უკანასკნელის მიზეზით. (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 37).

20. ანონიმის ნათქვამიდან ირკვევა, რომ ლალა ფაშას ამოცანას ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს, დაპყრობა შეადგენდა. ოსმალთა ჯარი ისევ არზრუმში იდგა, როცა ირანის ელჩები მივიდნენ მასთან და მოლაპარაკება გამართეს ამასიის 1555 წლის ზავის პირობების დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების თაობაზე. იბრაჰიმ ფეჩევის თქმით, ჯერ „კიდევ დაზავებასა და მშვიდობიანობაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, — ამბობდნენ (ოსმალები), — საქართველოს ბეგთაგან ზოგიერთები ურჩობენ; ამიტომ ჩვენ მათ დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად მივდივართ“ (გვ. 38). როგორც ჩანს, ოსმალების საქართველოში შემოჭრა აღნიშნული მიზეზით ყიზილბაშებს ზავის დარღვევად მიაჩნდათ. ოსმალებმა მაშინვე კონტრბრალდება წაუყენეს: ყიზილბაშები თურქმენთა ტომების ცხვარსა და აქლემებს იტაცებენო (იქვე, გვ. 38).

როცა საზავო მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, ყიზილბაშებმა გადაწყვიტეს იარაღით დაეცვათ თავიანთი გავლენის ქვეშ მყოფი ქართული ოლქები. ოსმალებმა ეს ჩათვალეს „ზავისა და მშვიდობის“ დარღვევად (E. Charriere, *Negociacions de la France dans le Levant et correspondences, memoires et actes diplomatiques*, t. III, Paris, p. 740). ფრანგი დიპლომატი ჟუიე მეფე ანრი III-ს წერდა, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რით დასრულდება ეს მოლაპარაკება, „მუსტაფა ფაშა მინც წავა ქართველების დასამონებლად“ (იქვე, იხ. აგრეთვე შენ. 5).

21. ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ პირველი ციხე, რომელიც ოსმალებს დახვდათ საქართველოს ტერიტორიაზე, იყო მგელციხე. იგი ოსმალებმა ორი დღის ბრძოლის შემდეგ აიღეს (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. XV—XVI სს. ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 47). თუ შევადარებთ ანონიმისა და ქართული წყაროს მონაცემებს, დავინახავთ, რომ ისინი ერთნაირად გადმოგვცემენ ოსმალების ჯარის ლაშქრობის მიმართულებას და ციხეების აღებას. იბრაჰიმ ფეჩევის კი „არტაანად წოდებული ხეობიდან“ პირდაპირ ველის ციხესთან მივყევართ (გვ. 39).

ქაჯის ციხე — იგივე ჩილდირის ციხე. 14 აგვისტოა ჟუიეს წერილშიც (E. Charriere, *Op. cit.*, p. 754—755): 14 აგვისტოს აუღიათ ოსმალებს ქაჯის (ჩილდირის) ციხე ჰენრიხ პორშას მიხედვითაც (H. Porcius, *Narratio belli Persici inter Murathem III Turcar. et Mehemet Hodabande Persar. regem gesti*. In Reusneri: *Rerum memorabilium in Panonia sub Turcar. Imperatoribus cet. gestar. narrationes*, Francofurt, 1606, p. 176—177). მხოლოდ მესხურ მატიაწეშია“ 8 აგვისტოს (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 47).

22. ქართული წყაროს მიხედვით, ყიზილბაშთა ჯარის სარდალი იყო მაჰმად სულთანის (იქვე, გვ. 48), იბრაჰიმ ფეჩევი კი ყიზილბაშთა ჯარის სარდალად ასახელებს თოქმაქ-ხანს, იმამ-ყული ხანს და ყარა-ხანს (გვ. 39).

23. იბრაჰიმ ფეჩევთან 30 ათასი ჯარისკაცი (გვ. 39).

24. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, მანუჩარს „ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაური“ ახლდა (გვ. 40).

25. ქაიხოსრო II ათაბაგის ძე მანუჩარი (1550—1614) უფროსი ძმის ყვარყვარე IV-ის (1574—1581) გარდაცვალების შემდეგ გაათაბაგდა (1581—1614).

26. იბრაჰიმ ფეჩევი: „ოცდაათზე მეტი სახელოვანი ალა ბრძოლის ველზე დაეცა“ (გვ. 40).

27. დერვიშ ფაშა წარმოშობით ბოსნიელი სოკოლოვების გვარიდან იყო. სხვადასხვა დროს ეკავა დამასკოს, ალექსის ბეგლარბეგის თანამდებობა, ბოლოს კი დიარბექირის ვალი იყო (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 112—113). იბრაჰიმ ფეჩევი ახასიათებს მას როგორც მამაცსა და გმირს (გვ. 39—40).

28. ოსმან ფაშა თავდაპირველად სასახლის მთავარი მეკარისა და უმცროსი მირახორის თანამდებობაზე მსახურობდა, შემდეგ იყო იემენის ბეგლარბეგი, დიარბექირის ვალი. ირანთან ომის დროს დაინიშნა ერთ-ერთ სარდალად და ძლიერ გაითქვა სახელი. იყო ოსმალების მიერ დაპყრობილი შირვანის გამგებელი. 1585 წელს გარდაიცვალა თავრიზში (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 113—114).

29. სხვა ავტორებმა სრულიად განსხვავებული ცნობები დაგვიტოვეს მანუჩარის შესახებ. „მესხური მატეანის“ მიხედვით, მანუჩარი მარტო მოქმედებდა. ქაჯის ციხესთან ჯერ ყიზილბაშები მივიდნენ (9 აგვისტო), ბრძოლა გაუმართეს ოსმალებს და დამარცხდნენ. მხოლოდ მეორე დღეს (10 აგვისტო) ჩნდება მანუჩარი თავის ჯარით. „იმავე კუირას, ი შარიამობისთუესა, პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც (ყიზილბაშთა — ე. მ.) ლაშქრის ომასა და და ვერც ციხეების ალებას ვერ შეიწწრა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 48). იბრაჰიმ ფეჩევი კი მანუჩარს მოლაღატედ წარმოგვიდგენს: „ხსენებული ბეგი (მანუჩარი — ე. მ.) ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული შეიწყნარებდა. და როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწია თოქმაქ-ხანს, წამოვიდა მანუჩარი დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 41). მუსტაფა სელიანიჩის თქმით, მანუჩარმა „თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მიუტანა და

ჩააბარა“ (გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიჭი საქართველოს შესახებ. ოსმ შრომები, ტ. 91, თბ., 1960, გვ. 263). დონ ხუან დე პერსიას მიხედვით, ქართველი მთავრები და, მათ შორის მანუჩარიც, ოსმალების ყიზილბაშებზე პირველი წარმატებისთანავე ოსმალებს მიემხრნენ (Don Juan de Persia, Op. cit., p. 66). ტომაზო მინადოი აგვიწერს იმ ზეიმს, რომელიც მოუწყვეს ოსმალთა ბანაკში მისულ მანუჩარს და მის თანმცლებლებს (T. Minadoi, Op. cit., p. 80). ჯოვანი მიქელის გადმოცემით, „აქ (ჩილდირთან—ე. მ.) მოვიდა ქვრივის (დედისიმედი—ნ. მ. იხ. შენ. 30) ვაჟი (მანუჩარი—ე. მ.) და ამურატისადმი ვასალობა და მორჩილება აღიარა. ის თან ახლდა მუსტაფას ერევანზე ლაშქრობისას და უკან დაბრუნების დროს (E. Alberi, Op. cit., p. 264). დაახლოებით ასევე გადმოგვცემს მანუჩარის თურქების ბანაკში მისვლას პეტრო ბიძარო (Petro Bizarus, Persicarum rerum historia in XII libris, Antverpiae, 1583, p. 633).

ანონიმი, როგორც დავინახეთ, მანუჩარის ოსმალთა ბანაკში მოხვედრის სრულიად ახალ, უაღრესად საინტერესო ვერსიას გვთავაზობს, რომელიც უთუოდ ანგარიშგასაწევეია სამცხის მომავალი ათაბაგის პიროვნების შესასწავლად.

30. მანუჩარის დედა, ათაბაგ ქაიხოსრო II-ის მეუღლე, ბაგრატ მუხრანბატონის ასული დედისიმედი. იგი დიდ როლს თამაშობდა სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1576—1578 წლებში სამცხეში მიმდინარე ფეოდალური ომის დროს აჯანყებული ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებსაც კი ხელმძღვანელობდა. ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ (1578) ის საკანათას ციხეში დარჩა და თავის მომხრეებთან ერთად ხელმძღვანელობდა ანტი-ოსმალურ მოძრაობას. ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, დედისიმედი უნდა იყოს „მესხური მატრიანეს“ ავტორი (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 123—132).

31. 1562—1578 წწ. ქართლის მეფე იყო დავით XI (დაუთ-ხანი). ის 1561 წ. თავის ძმას, ქართლის მეფე სვიმონ I-ს აუჯანყდა და ირანში გაიქცა. შაჰ-თამაზ I-მა დავითი გაამაჰმადიანა, ვასალობის რაყამი უბოძა და 1562 წელს ქართლის ხანად დანიშნა. დავითი თბილისსა და ქვემო ქართლს განაგებდა. დანარჩენი ქართლი სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა. 1569 წლის ფარცხისის ბრძოლის შემდეგ, დავით XI-მ ყიზილბაშების დახმარებით მთელი ქართლი დაიპყრო. დატყვევებულ სვიმონი ირანში წაიყვანეს და ალამუთის ციხეში ჩამწყვდიეს, სადაც ტყვეობაში იყო 1578 წლამდე.

ქართული წყაროების მიხედვით, 1578 წელს დაუთ-ხანმა ვერ შეძლო ოსმალებისადმი წინააღმდეგობა, თბილისი გადაწვა და გაიხიზნა



(იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 410).

საინტერესოა, რომ ანონიმის გარდა სხვა უცხოელი, არანაკლებ სანდო ავტორები, როდესაც ეხებიან ოსმალების მიერ თბილისის აღებას, არაფერს ამბობენ დაუთ-ხანის მიერ ამ ქალაქის გადაწვაზე. ისინი (T. Minadoi, Op. cit., p. 83; Don Juan de Persia, Op. cit., p. 69) შარაფ-ხან ბიდლისი, უკ. соч., с. 236; იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 41—42) დაახლოებით ერთნაირად გადმოგვცემენ ქართველების მიერ თბილისის უვნებლად მიტოვებას. ჯოვანი მიქელის თქმით, „დავითმა გაიგო თუ არა მუსტაფას მისვლის შესახებ, დაუყოვნებლივ გაიქცა [თბილისიდან]“ (E. Albersi' Op. cit., p. 264). პეტრო ბიძაროს მიხედვით, ის შირვანში გაქცეულა (P. Bizarus, Op. cit., p. 634).

32. ჯოვანი მიქელი გადმოგვცემს, რომ ლალა ფაშამ „აღადგინა გაუკაცრიელებული თბილისის ციხის დანგრეული კედლები, დადგა მრავალი საარტილერიო ქვეშეხი და 6 ათასი კაცი დატოვა ვინმე მეჰმედ ფაშას მეთაურობით“ (E. Alberi, Op. cit., p. 264). დონ ჯუანის (Don Juan de Persia, Op. cit., p. 69), მინადოს (G. T. Minadoi, Op. cit., p. 83) და პეტრო ბიძაროს მიხედვით, ოსმალებმა თბილისში დატოვეს 6 ათასიანი გარნიზონი და 100 ქვეშეხი.

თბილისის ფაშად დანიშნული მეჰმედი ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე ჯერ სანჯაყ-ბეგი იყო, შემდეგ თანმიმდევრობით ეკავა კასტამუნის, ყარსის, თბილისის ბეგლარბეგის და დიარბექირის ვალის თანამდებობა. ის 1584 წელს დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 42, 115).

33. ივლისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605).

34. კაიტას ფაშა სასახლის სამსახურში დაწინაურდა და იყო სხვადასხვა თანამდებობაზე. დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში 987 წლის ზი-ლ-კადას თვეში (1579 წ. 20. XII—1580 წ. 18. I).

35. ჯოვანი მიქელი, მართალია, აღნიშნავს, რომ კახეთის მეფის ელჩები მივიდნენ შირვანისაკენ მიმავალი ლალა მუსტაფას ბანაკში და უძვირფასესი საჩუქრები მიართვესო (E. Alberi. Op. cit., p. 264), მაგრამ არაფერს ამბობს მოლაპარაკების თაობაზე. პეტრო ბიძაროს გადმოცემით, ლალა ფაშასთან მისულ ალექსანდრე მეფის ელჩებს დიდძალი საჩუქრები მიუტანიათ და მაშინვე მორჩილება გამოუცხადებიათ (P. Bizarus, Op. cit., p. 634).

36. იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრესთან „სარდლისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და გულის მოსანადირებლად [თან მოიტანეს] წერილები“. იბრაჰიმ ფეჩევი იქვე გვეუბნება, თუ რა ივალდებულა კახთა მეფემ: „ის იღებს თავის თავ-

ზე იხადოს წელიწადში ხარაჯა: ოცდაათი იუქი აბრეშუმში, 10 ლამაზი კაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შავარდენი და ათი ფრთა კიდევ ჰიჯიზის მიმინო და [აგრეთვე მასში], რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარბეგის სახელწოდებით“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 42).

ჩვენი აზრით, იბრაჰიმ ფეჩევი სწორად არ გადმოგვცემს ოსმალეთსა და კახეთს შორის დამყარებულ ურთიერთობას. თუ ოსმალთა ისტორიკოსს დავუჯერებთ, გამოდის, რომ 1578 წელს ალექსანდრე მეფე სულთნის მოხელე (ბეგლარბეგი) გახდა, რაც არ დასტურდება ოსმალეთ-კახეთის შემდგომ ურთიერთობაში. კახეთის მეფე, ყველაფრიდან ჩანს, რომ მხოლოდ მოხარკე გახდა და არა მოხელე.

ისიც საეჭვოა, რომ ოსმალეთის ჯარის სარდალს, რომელიც კავკასიაში ხანგრძლივი ომისათვის ემზადებოდა, მოხარკე ქვეყნისაგან მიმინოები და შავარდნები მოეთხოვა. მას ფული და სურსათი სჭირდებოდა. ვფიქრობ, სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ანონიმის მიერ გადმოცემული სახელშეკრულებო პირობები (დაწვრ. იხ. ე. მამისთვალისვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 184—188).

37. იბრაჰიმ ფეჩევი ისე გადმოგვცემს ალექსანდრე კახთა მეფის გალაშქრებას შაქზე, როგორც ოსმალთა მთავარსარდალის დავალიზის შესრულებას (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 44. დაწვრ. იხ. ე. მამისთვალისვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 188—189). საყურადღებოა, რომ ჯოვანი მიქელი არაფერს ამბობს ალექსანდრეს შაქში ლაშქრობაზე.

38. იგულისხმება მდ. ალაზანი.

39. ანონიმი და იბრაჰიმ ფეჩევი თითქმის ერთნაირად აღწერენ ყიზილბაშების და ოსმალების ბრძოლას მდ. იორთან (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 45).

40. იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავს ოსმალთა ჯარის უკმაყოფილებას სურსათის ნაკლებობის გამო. „ისლამის ჯარმა სურსათ-სანოვავის უქონლობის გამო დიდი გაჭირვება განიცადა. იმდენად, რომ სახელოვან სარდალთან ჯგუფებად მიდიოდნენ და შეუფერებელი სიტყვებით ელაპარაკებოდნენ“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 46). ანონიმი კი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს იმ სიტუაციას, რაც ოსმალთა ბანაკში შეიქმნა არა მხოლოდ სურსათის ნაკლებობის, არამედ უპირატესად ამიერკავკასიაში ომის სირთულის გამო.

41. „როცა ქალაქ არეშში მივიდნენ, ისეთი დოვლათიანობა და ბარაქიანობა იყო... აქ საჭირო შეიქმნა ციხის აშენება. შაჰის ბაღს, რომელიც ქალაქგარეთ მდებარე უმშვენიერესი ბაღი იყო, გარშემო გამაგრებული ზღუდე ჰქონდა... ამიტომ ერთსულოვნად მიზანშეწონილად

მიიჩნის, რომ ეს ციხედ გადაეკეთებინათ. მთელი ეს ხეები დაჩეხეს... ერთი კვირის განმავლობაში ვეებერთელა და გამაგრებული ციხე გამართეს“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 46).

42. უნდა გავიხსენოთ ჯოსაფა ბარბაროს ნათქვამი დარუბანდის შესახებ: „დარუბანდი... ალექსანდრემ ააშენა... დარუბანდი ჩვენს ენაზე ნიშნავს ვიწროს. ადგილობრივი მცხოვრებლები მას თამირკაპს ეძახიან, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს რკინის ჭიშკარს. მართლაც ეს სახელი ძალიან შეეფერება, რადგან ეს ქალაქი მედიას გამოჰყოფს ალბანიისაგან, რომელიც ამჟამად თათრეთის ნაწილია. ასე რომ, როცა ვინმეს სურს წავიდეს სპარსეთში, თურქეთში, სირიაში და იმ ქვეყნებში, რომლებიც მისგან ჩრდილოეთით მდებარეობენ, უნდა შევიდეს ამ ქალაქის ერთ ჭიშკარში და გავიდეს მეორეში, რადგან სხვა ადგილებში გავლა შეუძლებელია“ (XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 59—60). ბარბაროს და ანონიმის ცნობების გარკვეული ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს. ორივე ავტორი ხაზს უსვამენ დარუბანდის უაღრესად სტრატეგიულ მნიშვნელობას.

43. იბრაჰიმ ფეჩევის თქმით, დარუბანდი ყირიმის ხანის ჯარმა კი არ დაიპყრო, არამედ ადგილობრივმა სუნიტებმა ამოწყვიტეს ყიზილბაშთა გარნიზონი, ქალაქი კი ოსმალებს ჩააბარეს (გვ. 47).

ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია ანონიმი, როცა ლაპარაკობს თათრების მიერ დარუბანდის აღებაზე, მაგრამ მისი ნათქვამიდან ირკვევა, რომ ოსმალები, კერძოდ, ლალა მუსტაფა ფაშა, ცდილობდნენ მიეჩქმალათ ყირიმის სახანოს მონაწილეობა და როლი შირვანის დაპყრობაში.

44. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევთან, რომელიც განსხვავებულად ჩამოთვლის ოსმან ფაშასთან დატოვებული ჯარის სახეობებს, საჭურველსა და ამუნციას (გვ. 47).

45. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით: „ბეგლარბეგობა უბოძეს უავგუსტოესი ჰარემის მირაზრობიდან გამოსულ საარუხანის სანჯაყის ყოფილ ვალის კაიტას ბეგს“ (გვ. 46).

46. თეგემი — ზაგემი, კახეთის ქალაქი.

47. იმრეზე — კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ვაჟი ერეკლე. იგი პროოსმალური ორიენტაციისა იყო (დაწვრ. იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 189—190), 237—240).

48. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვითაც „დალესტნის მბრძანებელი შამხალი“ დიდი ზეიმით მიიღო ლალა მუსტაფა ფაშამ არეშიდან გასვლის

შერვე დღეს (გვ. 48), მაგრამ ის არაფერს ამბობს ამ მოლაპარაკების შესახებ, რაზეც გვამცნობს ანონიმი.

49. შაბრანი — ციხე-სიმაგრე შამახის მახლობლად, ჩრდილო აზერბაიჯანში (A. A. Рахмани, „Тарих-и алам арай-и Аббаси“ как источник по истории Азербайджана, Баку, 1960, с. 61). სპარსულენოვან „სამყაროს საკვირველებათა ანონიმურ გეოგრაფიულ თხზულებაში ვკითხულობთ: „შარუბანი გაშენებული ვილაიეთია შირვანსა და თბილისს შორის. დოვლათით სავსეა. მისი საქონელია ბევრი აბრეშუში“ („სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978, გვ. 32).

50. ჯ. ტ. მინადოი სულ სხვაგვარად გადმოგვცემს შამხალისა და ოსმან ფაშას დაახლოებას და დანათესალებას. მინადოის თქმით, ოსმან ფაშა შამხალს ლალა მუსტაფა ფაშას მითითებით კი არ დაუნათესავდა, არამედ მათ შორის ურთიერთობა დაიწყო ჯერ უბრალოდ. შემდეგ დამეგობრდნენ და საბოლოოდ ეს მეგობრობა განმტკიცდა შამხალის ასულზე ოსმან ფაშას დაქორწინებით. მაგრამ ოსმან ფაშა ექვობდა, რომ შეიძლებოდა შამხალი შაჰის აგენტი ყოფილიყო. მისი ექვი განმტკიცა თავისი ცოლის, შამხალის ასულის, აღიარებამ, რომ შამამისა საიდუმლოდ აგრძელებდა შაჰთან ურთიერთობას და წერალებით აცნობებდა შირვანის ამბებს და განზრახული ჰქონდა ოსმან ფაშას მოკვლა. ამის შემდეგ ოსმან ფაშამ მიიწვია თავისთან სიმამრი და ვერაკულად მოაკვლევინა (G. T. Minadoi, Op. cit., p. 117—118).

51. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ოსმალთა ჯარი 24 ნოემბერს მივიდა თბილისთან (გვ. 49).

52. იბრაჰიმ ფეჩევის თხზულების ქართულ თარგმანში რამაზანის 21, ე. ი. 21 ნოემბერია (გვ. 50). ვახუშტი ბატონიშვილთან (გვ. 411) და „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 524) სვიმონის მიერ გორის აღების თარიღად 1578 წელია.

53. „არზრუმში რომ ჩავიდნენ... ამ დროს ზოგი [ჯარისკაცი] ყაზარმაში დატოვეს, ზოგს [შინ] წასვლის ნება მისცეს და საჭიროების მიხედვით ყველას საქმე მოაგვარეს“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 50).

54. იბრაჰიმ ფეჩევი დაახლოებით ასევე გადმოგვცემს არეშ-ხანის მიერ შამახიის ალყის შემორტყმას, ჯარის რაოდენობას (25 ათასი), თათართა ხანის მისვლას, ყიზილბაშთა ჯარის მარცხს, არეშ-ხანისა და მისი ოჯახის დატყვევებას და დასჯას (გვ. 50—52). პეტრო ბიძაროს მიხედვით კი, ოსმან ფაშას ვერც თათრები დაეხმარნენ და არეშიც ყიზილბაშებს დარჩათ (P. Bizarus, Op. cit., p. 635; ი. ტაბალუა, საქა-

რთველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, თბ., 1972, გვ. 131).

55. იბრაჰიმ ფეჩევისთან ბუნდოვნადაა გადმოცემული თათართა ხანის შვილის აბდულ გირეის დატყვევება (გვ. 53).

56. იხ. შენ. 48.

57. ყარსის ციხის აღდგენა დასრულდა 1579 წლის 27 აგვისტოს (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 54).

58. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ყიზილბაშთა სარდალი იმამყული-ხანი იყო და ათი ათასი მეომარი ჰყავდა (გვ. 54). პეტრო ბიძაროს თქმით, ამ დროს დაბრუნდა სვიმონ მეფე ირანიდან. მასთან ერთად მოვიდა საქართველოში ყიზილბაშთა 6—7 ათასიანი ჯარი ალი ყული-ხანის მეთაურობით. მათ დაევალათ ხეობის ჩაქეტვა, რათა ოსმალები არ შესულიყვნენ საქართველოში (Petro Bizarus, Op. cit., p. 635).

59. თბილისში მდგომი გარნიზონის საშინელი მდგომარეობის შესახებ უფრო ვრცლად გადმოგვცემს იბრაჰიმ ფეჩევი (გვ. 54).

60. იბრაჰიმ ფეჩევი განსხვავებულად და ვრცლად გადმოგვცემს აბდულ გირეის (ადილ გირეი) რომანსა და მის დაღუპვას (გვ. 56). „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში“ ნათქვამია, რომ „დაიჭირეს ბეგუმ (შაჰის ცოლი — ე. მ.) გამარჯვებული ჯელთა, ისიც მოკლეს და თათარხანიცა, ყაენმან დაჯოცინა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 525), მაგრამ მიზეზი კი არ არის ახსნილი.

პეტრო ბიძაროს მიხედვით, თათარხანს რომანი ჰქონდა არა შაჰის ცოლთან, არამედ შაჰის დედასთან (Petro Bizarus, Op. cit., p. 635).

61. „დიდებულმა ხანმა თემურ-კაფუში (დარუბანდი — ე. მ.) გამგზავრების შესახებ ფადიშაჰისაგან რამდენჯერმე მიიღო უაეგუსტოესი წერილი. თათართა ჯარისათვის საბოძებლად უამრავი ქონება გაიღეს“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 57).

62. ჰასან-ყალა, იგივე ბასიანი (იხ. <sup>1</sup>ს. ჭიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 105).

63. ოსმალების ერევანზე ლაშქრობის იგივე მიზეზს ასახელებს იბრაჰიმ ფეჩევი. მასთანაც დაახლოებით ისევეა აღწერილი ლაშქრობის მსვლელობა და შედეგებიც (გვ. 55).

64. „ხანიც უნებლიეთ ჭიანჭველის ოდენა თათრის ჯარით... დაიძრა და გაემგზავრა“ (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 57).

65. რამდენი რამ არის საერთო ლალა მუსტაფა ფაშას და სინაფ ფაშას ურთიერთობის იბრაჰიმ ფეჩევისეულ აღწერასთან (გვ. 58—59).

66. იბრაჰიმ ფეჩევისთან 17 თებერვალი (გვ. 60).

67. იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, სინან ფაშამ ყიზილბაშთა ელჩი მაკსუ-ხანი დიარბეჯირის ვილაიეთში, ჩერმიქში მიიღო (გვ. 60). ანონიმი არაფერს ამბობს იმ ალლუმის შესახებ, რომელიც სინან ფაშამ გამართა ყარსში ყიზილბაშ ელჩზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით (გვ. 63).

68. თბილისის ფაშად ქართველის დანიშვნის შესახებ იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., გვ. 141—142.

69. „შაჰს ერთი-ორი წერილი ჰქონდა ალექსანდრე მეფისათვის გაგზავნილი. გაიძვერა რეადათაგანს წერილი რომ მიჰქონდა, რამდენიმე [ჩვენნი] ასქერი შემოხვდა წინ და [წერილი] სამეფო ბანაკში წაიკითხეს. [წერილი] დაკავშირებული იყო ისლამის ლაშქრისათვის ოინების მოწყობასთან“. შემდეგ იბრაჰიმ ფეჩევი გადმოგვცემს ისლამის ჯარის გაქცევისა და ქართველთა თავდასხმებზე, ოსმალების მიერ განცდილ დიდ ზარალზე (გვ. 62).

70. ოსმალური წყაროების მიხედვით, ლალა მუსტაფა ფაშა გარდაიცვალა 1580 წლის 18 ივლისს, ან 5 აგვისტოს და დაასაფლავეს სტამბულში ეფუბის ჯამეს ეზოში (იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 99), ხოლო ისლამის ენციკლოპედიის“ მიხედვით, ის გარდაიცვალა ოქტომბერში (Enziklopägie des Islam, III, 1936, S. 827).

71. იბრაჰიმ ფეჩევიც გადმოგვცემს სულთნის მრისხანების შესახებ, რაც გამოწვეული იყო სინან ფაშას ყიზილბაშთა ელჩთან მოლაპარაკების მსვლელობით. სულთანმა ამის გამო გადააყენა სინან ფაშა (გვ. 65).

## შცხო სიტყვათა განმარტებანი

ავანგარდი (ფრანგ. anat-garde) — მეწინავე რაზმი.

ავანტურისტი (ფრანგ. aventure) — თავგადასავლის მაძიებელი, უპრინციპო საქმოსანი. ჩვენი ავტორი, ალბათ, მოხალისეთა ჯარს გულისხმობს.

ამუნიციია (ფრანგ. amunitionement საბრძოლო მასალით მომარაგება) — საგან-თა (გარდა ტანსაცმლისა და იარაღისა) ერთობლიობა, რაც შეადგენს სამხედრო მოსამსახურის აღჭურვილობას. ანონიმი ავტორი ამუნიციას ხმარობს ფართო მნიშვნელობით და მასში გულისხმობს სამხედრო მოსამსახურის აღჭურვილობას შეიარაღებითურთ.

არკებუზა (ფრანგ. arquebuse ზემოგერმანული hakenbüchse — ქვემეხი) — ხელში დასაჭერი დასავლეთეუროპული ცეცხლსასროლი იარაღის თავდაპირველი ნიმუში XV—XVI სს. ის იტენებოდა ლულიდან დენთის მუხტით, რომლას აფეთქება ხდებოდა ხელით ლულის კრილიდან. არკებუზათი ისროდნენ ჯერ ქეის, ხოლო შემდეგ ტყვიის გულას.

არკებუზერი — არკებუზით შეიარაღებული ჯარისკაცი.

ასპრი (ბერძნ. aspros თეთრი, ვერცხლი), ტრაპიზონული. ვერცხლის მონეტა, რომელიც მოკრეს კონსტანტინე II საუკუნის 30-იან წლებში, იწონიდა 2; 7—3 გრამამდე.

აღა — პატივისცემის გამოხატველი სიტყვა, რომლითაც მიმართავდნენ ოჯახის უფროსს, პაპას, უფროს ძმას, სხვადასხვა კატეგორიის მსახურთა უფროსებს, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს

ბეგი, ბეი (თურქ. მბრძანებელი, ბატონი, მთავარი) — გვაროვნული და ფეოდალური დიდაცობის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ოსმალეთში ბეგს უწოდებდნენ ადმინისტრაციული ერთეულების სანჯაყების მმართველებს (სანჯაყ-ბეგი).

გალერა — ხისნიჩბიანი სახედრო გემი, რომელიც შექმნეს ვენეციელებმა VII საუკუნეში. მისი სიგრძე 40—50 მ, ხოლო სიგანე 6 მ იყო. ერთ რიგზე ჩამწყკრივებული იყო 16-დან 25-მდე წყვილი ნიჩაბი. თითო ნიჩაბზე მოდიოდა 5—6 მენიჩბემონა. მთელი ეკიპაჟი მონებთან ერთად შეადგენდა დაახლოებით 450 კაცს. წყნარ ამინდში ავითარებდა 7 კვანძამდე (13 კმ სთ). ჰქონდა ორი ირიბიალქნიანი ანძა. XIV საუკუნიდან შეიარაღებული იყო 5 ზარბაზნით. გემის ცხვირში მოთავსებული იყო წყალზედა ტარანი. გალერებმა გამოყენება პპოვა ყველა ქვეყნის ფლოტში.

გენერალი. ანონიმი ამ სამხედრო ჩინში გულისხმობს ოსმალეთის ან ირანის ჯარების მთავარსარდალს.

გუბერნატორი (ლათ. gubernator) — მმართველი.

**დავთარდარი** — XV საუკუნეში ოსმალთა სახელმწიფოში იყო ერთი დავთარდარი. რომელიც განაგებდა ყოველგვარ საფინანსო საქმეებს. მაგრამ სახელმწიფოს ზრდასთან ერთად იზრდებოდა დავთარდარების რაოდენობა. XVI საუკუნის ბოლოს დავთარდარები ვილაიეთშიც იხსნენ და განაგებდნენ ვილაიეთის საფინანსო საქმეებს. დავთარდარი ეწოდებოდა იმ მოხელესაც, რომელიც კანცელარიაში დავთარს აწარმოებდა და საფინანსო საქმიანობის როშელიმე დარგს განაგებდა.

**დუკატი** (ლათ. *ducat us* — XII—XIX საუკუნეების ევროპული მონეტა ვერცხლის დუკატი პირველად მოიჭრა სიცილიაში 1140 წ. 1283—1284 წლებში ვენეციის დოჟმა ჯოვანი დანდოლომ დაიწყო ოქროს დუკატის მოჭრა. მისი წონა იყო 3.559 გრამი. ოქროს დუკატი სწრაფად გავრცელდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში და XIV საუკუნიდან საერთაშორისო ფულადი ერთეული გახდა. ვენეციაში დუკატს ცეხინიც ეწოდებოდა. ცეხინი წარმოსდგა სიტყვიდან *zucca* — ზარაფხანა (იხ. რ. ქიბულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII სს., თბ., 1971, გვ. 7—8).

**ესკადრონი** (ფრანგ. *escadron*) — ცხენოსანთა ორგანიზაციულ-ტაქტიკური ერთეული. სხვადასხვა სახელმწიფოს არმიებში ესკადრონი შედგებოდა 120—200 კაცამდე. როგორც ჩანს, XVI საუკუნის დასასრულს ესკადრონში ცხენოსანთა რაოდენობა მეტი იყო. ანონიმი ამბობს, რომ მოვიდა „აბდულ გირეი ოცი თუ ოცდახუთი ათასი მხედრით, რომლებიც გაყოფილი იყვნენ თორმეტ ესკადრონად“ (იხ. აქვე გვ.). **ვეზირი** (არაბ. ვაზირუნ) — უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო მოხელე ოსმალეთში. ვეზირთა ერთი ნაწილი სულთნის დივანის წევრები იყვნენ და მათ ეწოდებოდათ პირველი ვეზირი, მეორე ვეზირი და ა. შ. ვეზირები ეწოდებოდათ ზოგიერთი ვილაიეთის ფაშებსაც.

**ვეზირთა შორის**. უპირველესი იყო დიდვეზირი, რომელიც მთელი სახელმწიფოს ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა და ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი იყო. **იანიჩარი** (თურქ. სიტყვისიტყვი — ახალი ჯარი). ასე ეწოდებოდა რეგულარული ჯარის ქვეით მეომარს და ჯარის იმ სახეობას, რომელშიც იგი მსახურობდა. იანიჩართა კორპუსი რეგულარული ჯარის ძირითადი კატეგორია იყო, რომელიც სახელმწიფო ყაზარმებში ცხოვრობდა, ჯამაგირს იღებდა და მუდმივ სამხედრო სამსახურს ეწეოდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარამდე უფლება არ ჰქონდათ ოჯახს მოჰკიდებოდნენ, ევაკრათ ან ხელოსნობას მიჰყოლოდნენ. იანიჩართა ჯარი შეიქმნა XIV საუკუნეში და თავდაპირველად სამხედრო ტყევებისაგან კომპლექტდებოდა, შემდეგ კი — ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანული მოსახლეობის იძულებითი გაწვევით; საგანგებოდ დარჩეულ ქრისტიან ჰაბუეებს ამჰამადიანებდნენ, ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს და ზრდიდნენ მუსლიმური ფანატიზმის სულისკვეთებით. იანიჩრები იყვნენ სულთნის ტახტის დასაყრდენი და მნიშვნელოვანი პოლიტიური ძალა (დაწვერილებით იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურჩიძემ. ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 143—144).

**იმამი** (არაბ. წინ მდგომი) — მუსლიმანური თემის მეთაური, მუსლიმანური თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი, ხალიფა; შიიტების უმაღლესი მეთაური; სასულიერო პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ღვთისმსახურებას მეჩეთში.

**კავალერია** (ფრანგ. *cavalerie*, იტალ. *cavaleria*. ლათ. *caballus*—ცხენი—ცხენოსანი ჯარი.



კაპიტანი (გვიანდელი ლათინ. *capitaneus* მხედართუფროსი <ლათინ. *caput* — თავი) — ოფიცრის წოდება მეტწილ სახელმწიფოთა არმიებში. პირველად საფრანგეთში შემოიღეს. 1588 წლიდან კაპიტანს უწოდებდნენ ასეულის მეთაურს.

კაპიტან-გენერალი, იგივე გენერალ-კაპიტანი — უმაღლესი მთავარსარდალი. კაფუჯი-ბაში, კაფჯი-ბაში — სულთნის სასახლის ერთ-ერთი დიდებული მეკმედ II დროს (1451—1481).

კოლუმბრინი — გრძელი მცირეკალიბრიანი ზარბაზანი.

მაონა — თურქული ზომალდის სახეობა.

მილი (ინგლ. *mile*, ლათ. *milia passum*) — ათასი რომაული ორმაგი ნაბიჯი. სიგრძის საზომი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ზომისაა.

მუთეფერეკა — სხვადასხვა ვალდებულებების აღმსრულებელი მოხელე. 1. მათი ნაწილი სულთნის პირად დაცემაში მსახურობდა და სულთნის სხვადასხვა დავალებებსაც ასრულებდა. XVI საუკუნეში 430 მუთეფერეკა იყო. 2. იანიჩართა კორპუსის მუთეფერიკები. 3. მეტეფერიკები ეწოდებოდათ, აგრეთვე, დიდკეზირების, ვეზირების, ბეგლარბეგებისა და სანჯაყთა ბეგების ამაღალი მყოფ ალებსაც. მათ ახლდნენ ლაშქრობაში, ფაშების დროშები მიჰქონდათ, გადასცემდნენ ბრძანებებს და ნიშნულებსამებრ.

ანონიმს მუთეფერიკების უკანასკნელი კატეგორიის წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს მხედველობაში.

მუფთი — მუსლიმთა სასულიერო წოდების წარმომადგენელი, ლეთისმეტყველი და სამართლისმცოდნე.

სანჯაყ-ბეგი — სანჯაყის მმართველი და ლაშქრობის დროს ფეოდალური ლაშქრის მეთაურა. ის ემორჩილებოდა ვილაიეთის ბეგლარ-ბეგს სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

სანჯაყი — 1. დროშა, 2. სადროშო — სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც შედიოდა ვილაიეთში.

სიფაჰი — 1. მხედარი, 2. ფეოდალური ლაშქრის წევრი. 3. „ექვსი პოლკის“ — რეგულარული ცხენოსანი ჯარის — პირველი პოლკის მეთაური. ფეოდალური ლაშქრისაგან განსხვავებით, ძირითადად წარჩინებულთა და მსხვილ ფეოდალთა შვილები იყვნენ; აქ შედიოდნენ აგრეთვე სასახლის დაწინაურებული მსახურები (ერცლად იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, II, გვ. 162).

სომა — წონის ერთეული ძველ იტალიაში. აქ იგულისხმება სხვადასხვა წონისა და ღირებულების ვერცხლის ნაჭრები.

სპა-ოღლანი — მსუბუქი კაველრია.

სტაიო (იტალ. *stajo* — ოთხეული, სტაიო) — მარცვლეულის საზომი.

პროვინცია (ლათ. *provincia* — ოლქი) — ანონიმი ამ ტერმინით აღნიშნავს ძირითადად ოსმალეთის სასაზღვრო ოლქებს, ან ზოგიერთ ფეოდალურ ერთეულს.

ფაშა — ბეგლარბეგების, ვეზირების, საზღვაო ფლოტის სარდლის, დიდკეზირის და ზოგი სხვა დიდი სამხედრო და ადმინისტრაციული მოხელის ტიტული. XVI საუკუნის ბოლომდე სანჯაყის ბეგებსაც ფაშას უწოდებდნენ.

ჩაუში — ბაიაზიდ I ილდირიმის დროს (1389—1402) ოსმალეთში დაარსდა ჩაუშთა ორგანიზაცია. ისინი სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ: იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები და განკარგულებები მიჰქონდათ პროვინციებში. ემსახურებოდნენ სახელმწიფო დივანის სხდომებს, გადასცემდნენ სარდლების განკარგულებებს რაზმების მეთაურებს (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, II, გვ. 168).

ცეხინი — იხ. დუკატი.

## РЕЗЮМЕ

В конце 70-х и начале 80-х годов XVI века внимание целого ряда государств Европы и Востока было обращено к войне двух агрессивных государств Ближнего Востока — Ирана и османской Турции.

Политические деятели Западной Европы настороженно следили за развитием событий на Ближнем Востоке. Самое пристальное внимание привлекали силы, выступающие вместе с османами либо против них, а также военный потенциал Ирана — главного противника Турции. В источниках, отражающих ирано-турецкие взаимоотношения, стали появляться сведения о Грузии. Авторы пытались представить европейцам Грузию как неусыпного врага Турции, ее могущественного противника. В официальных частных письмах того времени, в докладах и прессе особое внимание уделялось военной силе грузинских политических единиц, что служило и определенной пропагандистской цели, а именно, подчеркивалось успешное сопротивление христианской Грузии (совместно с Ираном) османской экспансии, тогда как крупные христианские государства Европы никак не могли организовать совместную борьбу с ней.

В книге дается реляция анонимного венецианского автора второй половины XVI века. Реляция имеет большое значение для изучения целого ряда моментов первого периода ирано-турецкой войны (1578—1590 гг.). Ареной этой войны было Восточное Закавказье, охватившее также Грузию (Картли, Кахети, Самцхе-Саатабаго).

Анонимный автор подробно описывает события. Выясняется, что главнейшая задача главнокомандующего османских войск Лала-Мустафа-паши состояла в покорении Закавказья, в частности Грузии. Он со скрупулезной точностью воспроизводит вторжение турок в Грузию, ход военных действий, захват грузинских городов, в том числе Тбилиси.

На то, что сведения «венецианца» соответствуют истине, указывают некоторые скудные показания грузинских и иранских источников. Поэтому у нас нет оснований сомневаться также в правдивости тех сведений «венециан-

ского» анонима, которые не подтверждаются доступным нам материалом.

Опираясь на реляцию анонима, мы имеем возможность иначе осмыслить взаимоотношения между Кахетинским царством и Турцией в начале второй ирано-турецкой войны. Предполагалось, что Кахети покорилась Турции еще до начала войны. Выясняется, что это случилось после того, как турки овладели Тбилиси и подошли к границам Кахети. Иными представляются также и условия мирного договора между Кахетинским царством и Турцией. Урегулирование отношений с Кахетинским царством имело весьма важное значение, так как Лала-паша опасался сопротивления со стороны кахетинцев. Он лично явился к царю и имел с ним переговоры. Другие источники (грузинские, европейские) ничего не говорят об этом.

Можно утверждать, что кахетинский царь Александр II в 1578 году совершил поход в Шеки против своего брата, принявшего мусульманство Иэсе, а назначение царевича Ираклия санджакбеком Шеки стало одной из главных причин откола царя Александра от турок. Показания анонимного венецианского автора подтверждаются османскими документами.

Из сведений анонима видно, как загорелось пламя партизанской войны в Грузии против захватчиков. Во главе этой борьбы стоял вернувшийся из иранского пленения царь Картли Свимон I. Аноним приводит немало примеров героизма Свимона.

В реляции даются интересные сведения о событиях, развернувшихся в Самцхе-Саатабаго после покорения этого княжества турками. В ином свете представляется нам брат атабега Кваркваре IV-го, будущий атабаг Манучар. Другие источники характеризуют его как изменника. На самом же деле он боролся для освобождения от захватчиков не только своего княжества, а также Картли.

Таким образом, реляция анонимного «венецианца» имеет большое значение в целом для изучения начального периода второй ирано-турецкой войны, а также для Грузии соответствующего периода. Она даст возможность уточнить либо совсем по-иному ставить некоторые вопросы интересующего нас периода Картлинского и Кахетинского царства и княжества Самцхе-Саатабаго.

E. M. Mamistvalashvili

## Iran — Turkish War and Christian Georgians

### Resume

At the end of the 1570-ies and at the beginning of the 1580-ies the attention of a number of European and Eastern states was paid to the war of the two aggressive states of the Near East — Iran and Osman Turkey.

West European political figures watchfully kept up with the development of events in the Near East. The greatest attention was paid to the forces operating together with the Osmans against them as well as to the war potential of Iran — the main enemy of Turkey. The information about Georgia began to appear in the sources reflecting the Iran — Turkish relations. The authors tried to represent Georgia as an indefatigable and mighty enemy of Turkey. In the official and private letters of that time, in the reports and press a particular attention was given to the force of the Georgian political units that served a definite propaganda purpose, namely a successful opposition of Christian Georgia (together with Iran) to the Osman expansion was stressed, while the large Christian states of Europe could not organize the combined fight against it.

In the book the relation of an anonymous Venetian author of the second half of the XVI century is given. The relation is a document of great importance for studying a number of moments of the first period of the Iran — Turkish War (1578—1590). The arena of this war was East Caucasus Georgia including (Kartli, Kakheti, Samtskhe—Saatabago).

The anonymous author described the events in detail. It appears that the main task of the Commander — in — Chief of the Osman Army Lala Mustapha — Pasha was to conquer the Caucasus, in particular, Georgia. He renders the invasion of the Turks into Geor-

gia the course of the war actions, the capture of the Georgian towns and Tbilissi among them with scrupulous exactness.

Some scarce testimonies of the Georgian and Iranian sources prove that the Venetian's information is true. So we have no reason to doubt the truthfulness of the anonymous Venetian's other information that is not proved by the materials accessible to us.

Guided by the relation of the anonymous author we can quite differently interpret the relations between the Kakhetian Kingdom and Turkey at the beginning of the Second Iran—Turkish War. It was supposed that the Kakhetian Kingdom submitted to Turkey as long ago as before the beginning of the War. It seems that this happened after the Turks had conquered Tbilisi and come up to the frontiers of Kakheti.

The conditions of the peace treaty between the Kakhetian Kingdom and Turkey also seems quite different. The regulation of the relations with the Kakhetian Kingdom had a very great importance as Lala—pasha feared the opposition of the Kakhetians. He himself had talks with the King. Other sources (Georgian and European) say nothing about this.

It may be asserted that in 1578 the Kakhetian King Alexander II made a campaign to Shaki against his brother Iesse, who adopted Mohammedanism, and the appointment of the Prince Irakli as Sanjak-Bek of Sheki became one of the main reasons of King Alexander's break—away from the Turks. The information of the anonymous Venetian author is proved by the Osman documents.

From the anonymous author's information it becomes clear that in Georgia partisan warfare blazed up against the conquerors. At the head of the warfare was King of Kartli Simon I, who had just returned from the Iranian captivity. In the letter there are quite a number of examples of the heroism of Simon I.

In the above mentioned relation interesting information is given about the events that took place in Samtskhe—Saatabago after its being conquered by the Turks. Atabag Kvarkvare IV's brother, the future Atabag Manuchar is represented in this letter in quite a different way. In other sources he is characterized as a traitor. But the fact is that he fought for the liberation not only of his principality but of Kartli as well

Thus the relation of the anonymous Venetian author is a document of great importance for studying the first period of the Second Iran—Turkish War as well as for Georgia. It gives us the opportunity to specify the questions of the Kartli and Kakhetian Kingdoms and the principality of Samtskhe — Saatabago of the period interesting for us.

## ს ა ძ ი მ ბ ლ ე ბ ი კ ი რ თ ა

პბდულ გირეი 31, 35, 36, 37, 55, 58  
 ადილ გირეი. იხ. აბდულ გირეი  
 ალბერი ე. 15  
 ალექსანდრე II (კახეთის მეფე) 31, 41,  
 51, 52, 53, 56  
 ალექსანდრე (მაკედონელი) 31, 39, 53  
 ალი ყული ხანი 55  
 ამურატი იხ. მურად III  
 ანრი III (საფრანგეთის მეფე) 48  
 არეშ-ხანი 35, 54  
 არჩილი (ძე ზაგრატიისა) 45  
 აჰმედ ფაშა 21  
 აჰმედ ფაშა (დიღეუზირი) 39, 40

ზაგრატი მუხრანბატონი 50  
 ზაიაზიდ I ილიდირიმი 18, 59  
 ზარბარო ჟ. 53  
 ზაჰრამ ფაშა 18, 47  
 ზერი ეგნატაშვილი 45  
 ზეჰრემ ფაშა 18, 23, 27, 32  
 ზეგუმი 55  
 ზიძარო პ. 50, 51, 54, 55  
 ზროსე მ. 45  
 ჯაფარი XI (დაუთ-ხანი) 50, 51  
 ღანდოლო ჟ. 58  
 დარეიშ ფაშა 18, 23  
 დედისიძედი 50  
 დერეიშ ფაშა 27, 28, 49  
 დონ ხუან დე პერსია 44, 50

ევლია ჩელები 58, 59  
 ემირ ხანი 26, 34, 36  
 ერეკლე 32, 53

მახუშტი ბატონიშვილი 45, 54

მათარხანი იხ. აბდულ გირეი  
 თამაზი იხ. შაჰ თამაზ I  
 თოქმაქი (ერევნის ნაცვალი) 38  
 თოქმაქ ხანი 49

იბრაჰიმ ფეჩევი 47—49, 51—56  
 იმამ-ყული ხანი 49, 55  
 იმამ ჰუსეინი 16, 17  
 იმრეზე იხ. ერეკლე  
 ისმაილ-მირზა იხ. ისმაილ II  
 ისმაილ II 16, 17, 43—46

ქაიტას ბეგი იხ. კაიტას ფაშა  
 კაიტასი იხ. კაიტას ფაშა  
 კაიტას ფაშა 25, 32, 51, 53  
 კიკნაძე რ. 54  
 კომნენოსები 57

ლაღა მუსტაფა ფაშა 18, 19, 36, 40—  
 42, 44, 46—48, 50, 51, 53—56

მაქსუდ ხანი 56  
 მამისთვალიშვილი ე. 43, 45, 52, 53  
 მანუჩარი 23—25, 33, 49, 50  
 მაჰმად სულთანი 49  
 მაჰმუდი (ფაშა) 18  
 მეჰმედ ბეი 24  
 მეჰმედ ფაშა (დიღეუზირი) 39  
 მეჰმედი (ფაშა) 18, 28—30, 51  
 მეჰმედ II (სულთანი) 51  
 მეჰმედ ხანი 23  
 მიჩქელი ჟ. 51—52  
 მინალოი ჟ. ტ. 14, 43, 45, 50, 54  
 მთიელი მეფე იხ. შამხალი  
 მოჰამედ-მირზა იხ. მოჰამედ ხუდაბანდა  
 მოჰამედ ხუდაბანდა 44—46

მერაღ III (სულთანი) 15, 16, 50  
მერაღ ფაშა 22  
მუსტაფა ფაშა იხ. ლალა მუსტაფა ფაშა  
მუსტაფა იხ. ლალა მუსტაფა ფაშა  
მუსტაფა (მარაშის ფაშა) 37  
მუსტაფა (ანატოლიის ბეგი) 21  
მუსტაფა სელიანიქი 49, 50  
მუჰამად-მირზა 46  
მუჰამედი (წინასწარმეტყველი) 46

ოსმანი 29  
ოსმან ფაშა 20, 24, 30—33, 35, 36, 39,  
49, 53, 54

პორშა ჰ. 48  
ჟუიე (ფრანგი დიპლომატი) 48

სელიმი (სულთანი) 40—46  
სელიმი (უფლისწული) იხ. სელიმი სულ-  
თანი  
სეანიძე მ. 56  
სეიმონი იხ. სეიმონ I  
სეიმონ I (ქართლის მეფე) 33, 36, 37,  
45, 50, 54, 55  
სინან ფაშა 18, 40, 42, 47, 55, 56  
სოკოლოვები 46, 49

ტაბატაძე კ. 40  
ტაბალუა ი. 54

ფერიხან-ხანუმი 44  
ფუთურიძე გ. 50, 58

ძაიხოსრო II (ათაბაგი) 49, 50  
ქებულაძე რ. 58

შარა-ხანი 36, 49  
ყაუხჩიშვილი ს. 44, 45  
ყვარყვარე IV ათაბაგი 49

შამხალი 32, 36, 53, 54  
შარაფხან ბიღლისი 46

შარაშიძე ქრ. 48, 50  
შაჰ თამაზ I 16, 43, 45, 46, 50

ჯიქია ს. 47, 55  
ჯოეიო ჰ. 14  
ჯენეიდ მირზა 17, 46

ჰასანი (დამასკოს ფაშა) 38  
ჰეილარ მირზა 16, 17, 34, 43, 44, 46.  
ჰერბერტი თ. 45  
ჰინცი ვ. 45  
ჰუსეინი (იმთამი) 46  
ჰუსეინი (ფაშა) 18

Александр II (царь Кахетин) 61.  
Васильева Е. И. 46  
Иракли (церевиц) 61  
Иэсе (церевиц) 61  
Қварқваре IV (атабег) 61  
Лала-Мустафа-паша 60  
Манучар II (атабег) 61.  
Рахманн А. А. 54  
Шараф-хан (ишн Шамсадинн Бидлисн  
46, 51

Alberi E. 15, 50, 51  
Alexander II (King Of Kakheti) 63  
Bizarus P. 50, 51, 54, 55  
Brosset M. 45  
Browne E. G. 44  
Chariere E. 48  
Hammer J. 44  
Herbert T. 45  
Hinz W. 44, 45  
Iese (Prince) 63  
Irakli (Prince) 63  
Kvarkvare IV (Atabag of Samtskhe) 63  
Lala-Mustafa-Pasha 62, 63  
Manuchar II (Atabag of Samtakhe) 63  
Mjnadoi G. T. 43, 50, 51, 54  
Porsius H. 48  
Reusneri 48  
Strange I.e 47



- აზერბაიჯანი 54  
 აზია 39  
 ალაზანი მდ. 27, 32, 34, 35, 39, 52  
 ალამუთის ციხე 43, 45, 50  
 ალბანეთი 53  
 ალეპო 18, 20, 49  
 ალჟირი 20  
 ამასია 44, 48  
 ამიერკავკასია II. 48, 52  
 ანატოლია 19, 34  
 არეში 30—32, 34, 35, 52—54  
 არზრუმი 18, 20—22, 32—34, 37—42, .  
 46—48, 54  
 ბასიანი 55  
 ბაბილონი 16—18, 56  
 ბაბილოვანი იხ. ბაბილონი  
 ბაბილონის სახელმწიფო 46  
 ბაღდადი 46  
 ბაღდადის სახალიფო 46  
 ბოსნია 46  
 ბოსფორის სრუტე 47  
  
 ბანგა 35, 36, 39  
 გორი 37, 54  
 გორის ციხე 33, 36  
  
 ღამასკო 20, 34, 38, 46, 49  
 დარუბანდი 31, 41, 53, 55  
 დაღესტანი 53  
 დიარბექირი 47, 49, 51, 56  
  
 მეროპა 11, 12, 43, 58, 59  
 ეიუბის ჭამე (სტამბულში) 55  
 ერაყი 46  
 ერევანი 38, 39, 50  
 მანი 50  
 ვედის ციხე 23, 48  
 ვენეცია 58  
 ვენეციის რესპუბლიკა 12  
  
 ზაგემი 32, 39, 53  
  
 შავრიზი 16, 43, 49  
 თათრეთი 53  
  
 თამირკაი იხ. დარუბანდი  
 თბილისი 24—26, 33, 36—38, 41, 42, .  
 47, 50—51, 54, 55, 56  
 თბილისის ციხე 51  
 თეგეში იხ. ზაგემი  
 თეთრციხე 24  
 თემურ კაფუ იხ. დარუბანდი თურქეთი  
 იხ. ოსმალეთი  
 თურქმანელი სახელმწიფო იხ. ყარაამნია .  
  
 იემენი 49  
 იზმიტი 28  
 ირანი 11—14, 16, 17, 22, 23, 26, 30, .  
 32—37, 39, 40, 42—51, 53, 57  
 იორი მდ. 25, 26, 52  
 ისკუდარი იხ. სკუტარი  
 ისფაჰანი 45  
  
 ტაქვასია 13, 47, 52  
 კაირო 19  
 კარაკესე 21  
 კასტამუნა 51  
 კახეთი 51, 52, 53  
 კეიპროსი 46  
 კონია 20, 47  
 კონსტანტინოპოლი 16—18, 20, 24, 29, .  
 31—34, 36, 37, 39—41  
  
 ლარენდე 47  
  
 მალტებე 20  
 მარაში 18, 21, 37  
 მგელციხე 48  
 მეღია 53  
 მექა 40  
 მოსკოვი 31  
 მტკვარი მდ. 33, 41  
  
 ოსმალეთი 11—15, 16, 43, 44, 47, 48, .  
 51—53, 55, 57—59  
 ოსმალეთის იმპერია იხ. ოსმალეთი  
 ოსმალეთის სახელმწიფო იხ. ოსმალეთი  
 ოძრბე 34 .

- .რკინის კიშკარი იხ. დარუბანდი  
 რომის საღმრთო იმპერია 12  
 რუსეთი 31  
 საბერძნეთი 19  
 საყანაღას ციხე 50  
 სამცხე 50  
 სამცხე-საათაბაგო 50  
 სამხრეთ საქართველო 48, 49  
 სარუხანი (სანჯაყი) 53  
 საფრანგეთის 11, 12, 55, 58  
 საქართველოს 11—14, 22, 44, 45, 47,  
 48. 54—56, 58  
 სეფიანთა სახელმწიფო იხ. ირანი  
 სიეასი 18, 20, 21, 47  
 სირია 19, 20, 53  
 სკუტარი 18—20, 40, 47  
 სომხეთი 45  
 სპარსეთი იხ. ირანი  
 სტამბული 47, 56  
 ტრაპიზონი 19, 57  
 უნგრეთი 12  
 შარტახისი 50  
 ქართლი 45, 50  
 ქაჯის ციხე იხ. ჩილდირის ციხე  
 ქერბალა სოფელი. შემდეგ ქალაქი 46  
 ქვემო ქართლი 50  
 შაზეინი 16, 36, 43, 44  
 ყარაბაღი 36, 39  
 ყარამანია 18—20, 47  
 ყარამითი 18, 20—22  
 ყარსი 36—39, 41, 42, 51, 56  
 ყარსის ციხე 55  
 ყირიმი 53  
 ყირიმის სახანო 53  
 შაბრანი 32, 54  
 შამახია 31, 35, 36, 54  
 შარუბანი 54  
 შაქი 25, 26, 32, 52  
 შირვანი 18, 25, 28—31, 34, 36, 37, 39,  
 42, 49, 51, 53, 54  
 ჩერმიქი 56  
 ჩერქეზეთი 31  
 ჩილდირანი იხ. ჩილდირის ციხე  
 ჩილდირის ციხე 22, 48, 49, 50  
 ხმელთაშუა ზღვა 47  
 ხორასანი 17  
 ჯიზანი 17  
 ჰაბსბურგების იმპერია 12  
 პალატი 46  
 პასან ყალა 37, 55  
 Ближний Восток 60  
 Грузия 60  
 Европа 60  
 Закавказье 60  
 Иран 60  
 Картлийское царство 61  
 Самхе-Саатабаго 60, 61  
 Тбилиси 60  
 Шекн 61  
 Caucasus 62  
 Europe 62  
 Georgia 62, 63, 64  
 Irai 62, 64  
 Kakheti 62  
 Kakhelian Kingdom 63, 64  
 Kartli 62, 64  
 Samtskhe-Saalabago 62, 64  
 Sheki 63  
 Tbilissi 63

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•  
სბ 3539

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა  
მხატვარი ე. ბურჯანაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური რ. საჭაია  
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 6.1.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.3.1987;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1/16</sup>; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი  
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 4.3;  
პირ. სალ. გატ. 4.6; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.4;  
უე 00859; ტირაჟი 2500; შეკვეთა № 161;  
ფასი 50 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19